ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 218 (20959) ◆ კვირა, 16 სექტემბერი, 1990 წელი. ◆ ფასი 5 კაპ.

მკითხველს ვთავაზობთ

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტუალურ პრობლემებს ეხება გიორგი კორძაიას წერილი „ჯამი შეკითხვების?“.

აქვეა მასალები ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით.

2 გვერდი

თუ რას ჩახვდა და ვერ ჩახვდა ალექსანდრე სოლჟენიცინი, ამის შესახებ მოგვითხრობს პუბლიკაცია „გვაქვს უთვალავი ფერითა“.

— „პარტიობას აქვს თავისი ჯანი და ღირებულება მხოლოდ მაშინ, როცა სახელმწიფო თავისუფალია“, — ამბობს გიორგი გვაზავა თავის წერილში — „საქართველო და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“.

3 გვერდი

„ანტიკონსტიტუციურ მოქმედებას ხმების უმრავლესობით ვერ დაიცავ“, — ასეა დასათაურებული სერგო ჯორბენაძის სტატია.

აქვეა უცხოეთის ამბები.

4 გვერდი

აკაკი წერეთლისა და ნიკო ნიკოლაძის ურთიერთობაზე მოგვითხრობს ვალერიან ბიბილეიშვილი.

5 გვერდი

გრძელდება ანზორ თოთაძის წერილების სერიალი „საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი“.

6 გვერდი

... საქართველოს მკურნალობა-ფარმაცევტიკის ინსტიტუტის სამეცნიერო-საგანმანათლებლო საბჭოს ძირითადი მიმართულებანი რესპუბლიკის წამყვანი სახელოვნო-სამეურნეო კულტურების მოგებიანობა-ავადმყოფობათა და სიკვდილიანობის წინააღმდეგ ბრძოლაში ინტეგრირებული ღონისძიებების შემუშავება და ჩატარება. ... ღონისძიებებში ძირითადი ადგილი უკავია ბრძოლას ქიმიურ, ბიოლოგიურ, ზოოტექნიკურ, მიკრობიოლოგიურ, აგროტექნიკურ და სელექციურ მეთოდებს. მათი გამოყენების პრინციპია ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდის მაქსიმალური გამოყენება, სხვა ალტერნატიული მეთოდების ხვედრითი წილის გაზრდა, რათა მივიღოთ ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი. სურათზე ბევრი ინსტიტუტის თანამშრომელია — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატს ნანა ბეგენავსა და ქიმიკოს მარინე რუხაძეს ლაბორატორიაში მუშაობის დროს.

... ბოსავალი, რომელსაც ილეთენ წელს ჩვენი მებოსტნეები ბარით აღებული ბოსტნეულიდან და ბალნებიდან, არა მარტო სიუჟეთ გვაბარებს, არამედ, რაც მთავარია, იმითაც, რომ მათში არ არის ნიტრატები: პირველად მოიყვეს პამიდორი, კომბოსტო, სალათა, ნიორი, სტაფილო, ჭარხალი ბიოქიმიკატებით დამუშავების გარეშე, — თქვა მცხეთის რაიონის ნატახტრის მებოსტნეობის-ბოსტნეოს მეურნეობის დირექტორმა ვაჟა ბუჭაიშვილმა. 72 მეჭარზე ნატახტრელი მოჯარეები ეგვმთ გათვალისწინებული 1900 ტონის ნაცვლად აპირებენ სახელმწიფოს მიჰყიდონ 2200 ტონა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია. სურათზე აღბეჭდილი არიან საბჭოთა კოლექტივის ბრიგადირი ოთო ბრაჩული მებოსტნეებთან ელენე ბოჭაჭაძესთან და დაში ბაბუაძესთან ერთად ხაშმოდგომო ალოობაზე.

... 500-ზე მეტი დასახელების ბაღჩეული გახდა თურქეთის ქალაქ არხავის საბაჟო პალატის ეზოში გახსნილი გამოფენის ექსპონატი. ესენია ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, საოჯახო ელექტროსელსაწყოები, ტელევიზიოსპარატურა, ავეჯი, ქსოვილები, ხაშები, ალალა და ა. შ. ქალაქ არხავის გაზეთის გამოფენა საპასუხოა. ბოდინარე წლის ივნისში თურქეთში მოეწყო საქართველოს საგარეო ვაჭრობის საქონლის გამოფენა. ეს იმაური საქმიანი წრეების მრავალი წარმომადგენლის ყურადღება მიიპყრო. მაშინ დადგა ურთიერთსასარგებლო კონტრაქტები. ბრანაკლეს ინტერესს იწვევს ბაღეში მოწყობილი გამოფენა. სურათზე ბედაკი გამოფენის გახსნის წინ გაბართული თვითმფრინავი. სტუმარმა ბევრი რამ ნახა სიტყლში, მახპინძლები კი განსაკუთრებით დაინტერესა თბილისელი პროფესორის სადოქტორო დისერტაციის თემამ „ცხენოსნობის სამედიცინო-ბიოლოგიური საფუძვლები“ და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის მანონ ლორიას მიერ წარმატებით დამუშავებულმა სამეცნიერო პრობლემამ, რომელიც ეხება მიოკარდის ინფაქტგადატანილი ავადმყოფების მაღალეფექტიან რეაბილიტაციას. კონტაქტები გაგრძელდება.





ერთი კვირა ფოტოსურათებში

რეპორტაჟი

ქართველ და ამერიკელ მედიკოსთა ერთობლივი გამოკვლევები საფუძვლად დაედება რაიტერაპიის საერთაშორისო სიმპოზიუმის ორგანიზაციას, რომლის მოწყობა დასახულია თბილისში გაზაფხულ, ივნისში. მისი მუშაობის შედეგი უნდა გახდეს, ამერიკელ მედიკოსთა აზრით, რაიტერაპიის მსოფლიო ცენტრის შექმნა, რომელის შტაბ-ბინის განლაგებას გვთავაზობენ საქართველოს დედაქალაქში. ადრიანი დილაა. თბილისი ესესაა იღვიძებს, იპოდრომზე კი უკვე გამოცოცხლებულა. მართალია, ცხენოსნობის სტადიონისათვის რამდენადმე უჩვეულო სურათია: სწრაფი რბოლის ნაცვლად ნელა მინავარდობს კოტა ცხენი, რომელზეც ჯერჯერობით არც ისე მყარად ზის მხედარი. გარს ახვევიან დიმიტრი წვერავას კათედრის ექიმები — მომდინარეობს რაიტერაპიის მორიგი სეანსი, რეაბილიტაციის პროცესის ერთ-ერთი ეტაპი. — სასიამოვნოა იმის შეგრძნება, რომ ავადმყოფები ჯერ მარტო იკეთებენ ჯანმრთელობას, არამედ ჰამდამოდ მტკიცე ოპტიმისტები ხდებიან, — თქვა დიმიტრი წვერავამ. — სასიხარულოა, როცა ხედავ დღითიდღე როგორ ქრება მათი სახიდან სიფერმკრთალე, როგორ უხარიათ ავადმყოფის გამოჯანმრთელება მედიკოსებს, ახლობლებს, მეგობრებს. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი მოკრძალებული შრომა უქმად არ იკარგება. სურათზე აღბეჭდილია დიმიტრი წვერავას ამერიკელი პაციენტი ჭალი.

პრობლემა

ქაოი შეკითხვებს?

ტენდენციური აპლიკაცია

მთავარს ქვეყანაში თავდალმართი დაიწყო. დავიშვით, ყველა ერთად. აჩქარება — სიჩქარის ცვლილება დროის ერთეულში. სიჩქარე, რომელიც იზრდება.

ასე გვასწავლეს, ასეა ცხოვრებაშიც. და კიდევ გამყინავი შიში, ცივი და რეალური საზოგადოებრივ ურთიერთობათა გაურკვევლობის კონკრეტულ სივრცეში.

მოლოდინი — ჯვარდასმული. იმედი — ნული. აბსოლუტური? შიში კატასტროფის.

კითხვა — როდის? როდის მიაღწევს კრიტიკულ ზღვარს ტრაგიკული აჩქარება?

და ლაპარაკი. ლაპარაკი, ლაპარაკი, ლაპარაკი და ლოზუნგები: ქუჩებში, მოედნებზე, ცენტრში, პროვინციაში, გაზეთებში, მიტინგებზე და წინაუკმო. ლოზუნგები, როგორც ანაშა უკვე უძალო საზოგადო სხეულისათვის, ხვალ — უმეტესი დოზა.

ლოზუნგების ნარკომანია. ვიღაცის ნათქვამი უკვე.

მაინც უთქმელია მთავარი, რაიც არავინ უწყის, რასაც და როგორც უნდა ამტკიცებდეს: გულწრფელად, დამაჯერებლად, თვითდაჯერებით? რა იქნება ხვალ.

სიტყვების დიდი მირაჟი დიდ უდაბნოში, ან ძახილი უდაბნოსა შინა.

პირველად იყო სიტყვა. სიტყვა დარჩა. შემოგვრჩა სიტყვაღა.

და კიდევ — მონანიება. მოდა. სულის კათარსისი და ინტიმი საზოგადო გზაჯვარედინზე გამოდებული, საქვეყნოდ, როგორც პროვინციული სექსოპორნოგრაფია დღეს.

რიგი. ახალი. ანტირიგი — გუშინ წითელი წიგნაკების ენერგიული მშვენელების. ადგილებისაც. კარიერისტების. გუშინ — ჩუმი და სათავისო. დღეს — რეკლამა და „ოლივეტი“, „საერო“ საქმე და საზრუნავი.

სტრიპტიზი უფასო. არა უანგარო. სიშიშვლე აჩენს პატრიოტკრატიის ყველაზე ერთგულ დამცველებს, კარიერისტ ფუნქციონერებს, „სისტემის“ აპოლოგეტებს.

ტანსაცმლის რიტმული განძარცვა. მამაკაცების ქალური სიშიშვლე...

— შემდეგი?

— თქვენ?

მეტამორფოზა პერმანენტული. გუშინ, დღეს, ხვალ. პიროვნების კატასტროფა. ერთის, ათასის? მეორად გაყიდული პიროვნებების, თვითგაყიდულის, რაიც არის პროსტიტუცია „მორალურ-პოლიტიკური“. ბარემ დავაწესოთ: „დღე საყოველთაო მონანიების“ (როგორც „ხსოვნის დღე“) — ახალი ტრადიციის სიყალბე და სიცრუე... აგრეთვე ძალადობა. ძალის დატანება. დიქტატი. ძველი? ახალი? სხვისი.

ველარ ვარსებობთ უამისოდ? ჯერ ვერ ვარსებობთ. „ძალადობა ვერაფერს აიფარებს, გარდა სიცრუისა, სიცრუე ძალადობას ეყრდნობა მხოლოდ“.

ძალადობა „ჩვენგან სიცრუისადმი მორჩილებას მოითხოვს, ყოველდღიურ მონაწილეობას ტყუილში და ესაა უქვეშევრდომილეობა სრული“ (ალექსანდრე სოლჟენიცინი, „არა ვიცხოვროთ სიცრუით“).

დავემხოთ მუხლებზე, პირქვე! (ვინ როგორ არჩევს): დიდება და ოსანა! მორჩილებას დიდება?

ვინღა ურტყამს იატაკს შუბლს? მთავრდება მეოცე საუკუნე.

ზოგი ადრე მიხვდა. ანდრეი ამარლიკიც. დისიდენტი — უფლებათა დამცველი. ავტორი წიგნისა „მიატანს თუ არა საბჭოთა კავშირი 1984 წლამდე?“ შეურყვნელი რეპუტაციის პიროვნება.

1969 წელი. წერს: „ძალადობა როგორც წესი და არა როგორც გამონაკლისი — შესაძლებელია იქ, სადაც არის ძალადობისადმი დამორჩილების მზადყოფნა; სადაც წინააღმდეგობა იწყება, ძალადობას ბოლო ეღება. რასაკვირველია, მარტივი არ არის საკითხი წინააღმდეგობის ხარისხისა, ადამიანის ბუნება სრულქმნილი არ გახლავთ“.

არა ვართ სრულქმნილნი. მართლაც.

მიეჩვია საზოგადოება ძალადმომრეობას. ეტყობა. რევოლუციონერების, ნეორევოლუციონერების, ცენტრის, დეცენტრისტების...

წინააღმდეგობას არ უწევს. დაიღალა?

გამართლება ამით? თავის მოტყუება. მაზოხიზმი.

სადისტურ-მაზოხისტური წოსასწორობა. უკეთეს შემთხვევაში.

უარესი: ძალადობა სისხლიანი. ვერ იქცა გარდაქმნა უსისხლო რევოლუციად.

ეთნოკონფლიქტები: თვალი თვალისა წილ, სისხლი სისხლისა წილ! ტერაფირებული სისხლიანი ჩიხი ყარაბახის. სოციალური კონფლიქტები.

სადაა უმაღლესი ჰუმანიზმის საზოგადოება? დეჰუმანიზაცია? კრახი?

პლურალიზმი: ჭეშმარიტი და ცრუ.

პატარ-პატარა აზრების სხარტალი და ერის სახელით ლაპარაკის უფლების მითვისება.

ნეობოლშევიზმი.

37.

50.

ერს-მართლა ახსოვს: რა დროს დავიწყებაა! არ დაავიწყებენ.

90: სოციალური პანიკა. არც მეტი, არც ნაკლები.

იქნება: ბრწყინვალე მომავალი. გვჯერა. უნდა დავიჯეროთ.

მაშინაც სჯეროდათ (17, 21), ჩვენს თაობასაც სჯეროდა (50).

„... ზოგიერთი ადამიანი „სიკვდილის შემდეგ“ იბადება ამ ქვეყნად“ (ფრიდრიხ ნიცშე). თაობაც ზოგი.

ახლა?

არის დემოკრატია, რომელიც დღეს ვერ გარჩენს.

არის პლურალიზმი, რომელიც სიუხვეს არ ნიშნავს. არც აზრებისა (სამწუხაროდ), არც მატერიალურისა (მით უფრო).

არის დაძაბულობა, რომ არ ვთქვათ შიში, რომელსაც ვერა საზოგადოება დიდხანს ვერ გაუძლებს. კრიზისი — აფეთქების ორსულობა.

აფეთქება — განმუხტვა.

რა მსხვერპლის ფასად? ფიზიკურის, სულიერის, ზნეობრივის, პრინციპების? თუ ყველასი ერთად?

ველოდოთ. ველოდოთ დაკოდილები?

ვაქციოთ საქართველო ერთ დიდ ანატორად?

ქვების შეკრების ჟამია და კითხვებზე პასუხისაც.

მოვა მესია! მოვა? თუ ყველა ჩვენგანშია მესია?

ყველაზე დიდი კითხვა და უუდიდესი პასუხისმგებლობა თითოეულის.

• • •

ნოქალაქევი სენაკთანაა.

ნოქალაქევის ასფალტაქერცლილი ცენტრის გავლისას მანქანა შეგანჯღრევს და მასპინძელი მოგიყვება:

ოციან წლებში პირველი კომუნა აქ დაუარსებიათ. თავმჯდომარედ ცხონებული ბაღათურია აურჩევიათ. მალე შემოეჭამათ კომუნარებს მწირად მონეული სიმინდი. შეუწუხებია შიმშილსა და ჭუჭყს. ამ ორ წინადადებაში იმდენჯერ გამეორდა ასო „წარ“-ი, რომ მიხვდებით, რა მწერმაც გაამწარა. დადიოდნენ და იქექებოდნენ. იქექებოდნენ და შიოდათ.

წასულა ცხონებული ბაღათურია სენაკში (სენაკი ერქვა მაშინაც). გიშველითო რამეს, — დაპირებია. საღამოსთვის ორი სავსე ტომარა იმედი ამოუტანია. გადაკრჩითო, გაუხარიათ ნოქალაქეველებს. შეკრებილან აქ, სოფლის ცენტრში: ერთხელ მაინც გავძღებითო („ბოდიში, ბატონო!“), ერთხელ მაინც დავიბანეთო ტანს („კიდევ ბოდიში, ბატონო!“). თავი მოუხსნია ტომრებისთვის ცხონებულს: — დიდი შეღავათი ჩამოგიტანეთო. ამოუღია სიმინდის ნაქურჩელები: — ამით უკეთ მოიფხანთო ზურგს.

სიცილით მოგიყვებიან იუმორით სავსე სენაკელები ამ ტყუილ-მართალ ამბავს ნოქალაქევის ცენტრის გავლისას.

იმ ტომრების იმედად ვერ დავრჩებითო ახლა, დაასკვნიან...

რაც იყო, დავანგრიეთ.

• • •

ეანგრევთ.

ქვებს მოვერიეთ. იდეებს, სიმბოლოებს, ადამიანებს.

ვანგრევთ. აღარაფერი დარჩა მომავლის გარდა. სადისტური გატაცება ნგრევით და კრნავალურიც.

მუხრუჭი: დეფიციტის დეფიციტი.

შეჩერებას ჭირდება ძალა. შინაგანი უპირველესად. და ისტორიის კონსპექტის გადაფურცვლა: არც შორეულის და უფრო ახალის.

ვლადიმერ ბუკოვსკი. 60-იანი წლების დასაწყისიდან — ციხე. ბრალდება: პოლიტიკური მიტინგების მოწყობა პუშკინის მოედანზე. 21 წლიდან ცხოვრების მესამედზე მეტს თოფიანი კაცი ყარაულობს. ავტომატიანი. ბანაკი. ბანაკები. 1970 წელს ჩილეს კომპარტიის ლიდერში გაცვალეს. დაამთავარა კემბრიჯი, დაიცვა დისერტაცია, დაწერა ოთხი ნიგნი. მუშაობდა სტენფორდის უნივერსიტეტში, კალიფორნიაში. დღეს კემბრიჯშია ისევ. ეწევა პოლიტიკურ მოღვაწეობას.

პირველი ინტერვიუ საბჭოთა პრესას — 1990 წლის 22 აგვისტოს. „ლიტერატურნაია გაზეტა“. ფრაგმენტი:

„ვიგრძენი, რომ შემიძლია რაღაცით დავეხმარო ჩემს ქვეყანას, ჩემს ხალხს. ოცდაათი წელიწადი დესტრუქციულ საქმიანობას ვეწეოდი. მაგრამ ახლა ნგრევის პროცესმა ზღვარს გადააჭარბა, იმსხვრევა არა მარტო სისტემა, არამედ ქვეყანაც, ერები, ადამიანების ყოფა-ცხოვრება. ჩემი გამოცდილებით, ცოდნით, გავლენიანი პოლიტიკური კავშირებით მოვალე ვარ მონანილეობა მივიღო ჩემი ქვეყნის ახალი სახის ჩამოყალიბების პროცესში“.

აი, ასე!

ვაჯობებთ? რომის პაპი ჩვენზე მორწმუნეა.

ჰუმანიზმის გლობალურ ლოგიკაში შევედით. თანმიმდევრულნი ვიყოთ. ცივილიზებულად ლოგიკურნი. „ლოგიკა — შინაგანი კანონზომიერება“. ლენინი.

• • •

არაკი.

პატარა თაგუნა პირველად „გამოვიდა საზოგადოებაში“. ირბინა, ისუნსულა და უცებ ციხის ნანგრევებში კედელზე დაკიდებული ღამურა დაინახა. თავკუდმოგლეჯილი სოროსკენ გაიქცა.

— დედა! — გული ამოვარდნაზე ჰქონდა. თვალები გაბრწყინებული. — სული ამოითქვა: — დედა, დღეს ანგელოზი ვნახე!

დემოკრატიის საზოგადოებაში ჩვენი „პირველი გამოსვლაც“ ასეთივე აღფრთოვანებით ხომ არ უნდა დამთავრდეს!..

გამბედაობა გვჭირდება ჭეშმარიტების აღქმის.

• • •

ზარატუსტრა ყვებოდა:

უკაცრიელ უდაბნოში აქლემს კაცობრობის კულტურის მთელი ტვირთი მიაქვს. „გამძლე სულივ“, რომელსაც აკიდებული აქვს ყველაფერი, რაიც შექმნილია, ურულყოფილესის თაყვანისმცემელია იგი. მაგრამ გზა მისი უდაბნოსაკენ მიდის: იგი, ვინც სხვათა მიერ შექმნილის შეთვისებით იფარგლება, უნაყოფოა. უდაბნოში სასნაული მოხდება: აქლემი ლომად გადაიქცევა, რომელიც ეძიებს თავისუფლებას და თავის უდაბნოში ბატონობა სურს. ლომი გაშმაგებით უარყოფს ათასწლეულობით შექმნილ ფასეულობებს, საკუთარის შექმნის უფლებას მოიპოვებს. მაგრამ იგი ყრმად უნდა იქცეს, ბავშვად, რათა შექმნას ახალი ფასეულობანი უმანკოებასა და თავდავიწყებაში და უსასრულო წმინდა თამაშის დროს. (ფრიდრიხ ნიცშე, „ასე ამბობდა ზარატუსტრა“).

• • •

ბევრი ხომ არ გამოგვდის არაკი?

• • •

ერთი დაბრუნებული მწერლის ნათქვამია: „მხოლოდ ფერფლმა იცის, რას ნიშნავს ჩაიფერფლო“.

კრიზისის კოცონია: პოლიტიკური, ეკონომიკური, მორალური კელაპტრების ალი.

ვიწვით და არ ვანათებთ. ჩავიფერფლებით და ჩავწვდებით ჭეშმარიტებას... გონიერი ფერფლი ნაცრისფერ ქვეყანაში. ნიადაგის გამანოყიერებელი მხოლოდ.

„და თქუა ღმერთმან: იქმენინ ნათელი! და იქმნა ნათელი. და იხილა ღმერთმან ნათელი, რამეთუ კეთილ, და განწვალა ღმერთმან შორის ნათლისა და შორის ბნელისა“, („წიგნი შესაქმისაი“, თავი I).

ზღვარზე ვდგევართ. სახით ნათლისკენ.

გიორგი კორძაია.

ᲘᲛᲔᲓᲘᲗ ᲨᲔᲕᲧᲣᲠᲔᲑᲗ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲔᲚᲡ

ახალ სასწავლო წელს ახალ იმედებს უკავშირებს ჩვენი საზოგადოებრიობა. იქნებ, საიმედო არც ბევრი გვქონდეს, მაგრამ ის პატარა ყლორტები, რომელიც თანდათან ჩნდება ჩვენი განათლების მრავალსაუკუნოვან ბერმუხაზე — თვისებრივი სიახლეები სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში, სწავლების ორგანიზაციაში, გვაფიქრებინებს, რომ სასიკეთოდ უნდა შეტოტრიალდეს ჩვენი მომავალი თაობის ალზრდის საქმე.

სტერეოტიპები იმსხვრევა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ცხოვრებაში, სტერეოტიპები იმსხვრევა სახალხო განათლების სისტემაშიც, რომელსაც უფლება არა აქვს ჩამორჩეს ქვეყნის განახლების სასიცოცხლო პროცესს.

თავისუფალ საქართველოს ლაღი, თავისუფლად მოაზროვნე, ჭკვიანი და განათლებული ახალგაზრდობა სჭირდება. ეს თაობა მიუჯდება ხვალ სასწავლო მერხს. გვახსოვდეს: ჩვენი მომავლის ბედი ამ მერხებთან წყდება.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ—ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘ

ᲩᲕᲔᲜᲡ რესპუბლიკაში, ალბათ, თითებზე ჩამოითვლება სასწავლებლები, რომლებშიც სრულფასოვან ცოდნას იღებს და მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად ყალიბდება ახალგაზრდობა. ასე მომზადებული კადრები, ცხადია, ბევრს ვერას არგებს მამულს, რომელსაც ძნელბედობის ჟამი უდგას.

ცოდნის დონის დაქვეითების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, კვალიფიციურ პედაგოგთა კადრების ნაკლებობასთან და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სიღუხჭირესთან ერთად, ისიც გახლავთ, რომ დიდი ხანია, სწავლება მოძველებული, თანამედროვე მოთხოვნებისაგან ჩამორჩენილი პროგრამებით წარმოეს. ამიტომ მისასალმებელია ყველა გონივრული სიახლე, რაც ხორციელდება ამ სფეროში (რომელსაც, სავარაუდოა, მალე რადიკალური გარდაქმნებიც მოჰყვება). ამ სიახლეებზე ახალი სასწავლო წლის წინ გვესაუბრებიან სპეციალისტები:

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲔᲯᲘᲑᲘᲫᲔ — საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს საშუალო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველოს უფროსი:

სასწავლო პროგრამებმა წელს სასურველი ცვლილებები განიცადა. ყველაზე მეტად ეს ეხება ქართული ენისა და ლიტერატურის, დაწყებითი კლასების, საქართველოს ისტორიის პროგრამებს.

სკოლებს, სადაც დიფერენცირებული სწავლებაა დამკვიდრებული, საშუალება მიეცათ ისარგებლონ ჩვენს მიერ მიწოდებული გეგმებით — ჰუმანიტარულ, ფიზიკა-მათემატიკურ, შრომით პროფილებში.

სულ სხვადასხვა საგნებისათვის შედგენილი გვაქვს 21 პროგრამა, რომელთაგან ნაწილი მთლიანად ახალია, ნაწილი ან განახლებული, ან გადამუშავებული.

სკოლებს მივაწოდეთ ვარიატული სასწავლო გეგმა, რომლის საფუძველზეც თითოეული მათგანი შეადგენს თავიანთ სამუშაო გეგმას.

წელს დაწყებით კლასებში მოსწავლეები პირველად შეადგამენ ფეხს მუსიკისა და რიტმიკის გაკვეთილებზე. პირველივე კლასებიდან შეიგრძნობენ ესთეტიკურ ფასეულობას, ისწავლიან მუსიკის მოსმენას. ასეთი გაკვეთილები ბავშვისთვის მხოლოდ და მხოლოდ სიამოვნების მომგვრელი იქნება და არა ზედმეტი ტვირთი, რადგან მოზარდი უფრო ადვილად შეიგრძნობს მუსიკასა და რიტმს.

პირველ კლასში შემოგვაქვს „ბუნების კარი“, ინფორმაციულად იგი უფრო მეტად მდიდარია, ვიდრე იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი ომავე სახელწოდების სახელმძღვანელო.

ამგვარი ცვლილებები სასწავლებლებში თავისთავად ითხოვს პედაგოგთა ცვლიფიკაციის ამაღლებას, მათ გადამზადებას მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში.

ᲘᲜᲔᲖᲐ ᲘᲐᲛᲐᲜᲘᲫᲔ — გალაკტიონ ტაბიძის სახელობის 51-ე საშუალო სკოლის დირექტორი:

სულ რამდენიმე დღის წინ ჩატარდა რაიონული სექციის სხდომა, რომელზეც განიხილობდა ახალი პროგრამების საკითხი. პედაგოგებმა, რომლებიც რა ხანია, სიახლის დანერგვის გულწრფელი მოსურნეები არიან, გამოთქვეს აზრი, რომ ეს პროგრამებია სწორედ ის, რითაც შეიძლება სწავლება.

არსებითი ცვლილებები შეეხო საქართველოს ისტორიის, მშობლიური ენისა და ლიტერატურის გეგმას. სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა სწავლება გადმოტანილია VIII კლასში. ალბათ „ვეფხისტყაოსნის“, ამ მრავალმხრივი, რთული ნაწარმოების, სათანადო კლასში სწავლების აუცილებლობის საკითხიც დადგება.

დიფერენცირებულ სწავლებას ორი ვარიანტით ვახორციელებთ. ერთი სასწავლო გეგმა განათლების სამინისტრომ შეიმუშავა, მეორე — პედაგოგიკის ინსტიტუტმა. განათლების სამინისტრო საკმარისად თვლის დიფერენცირებული სწავლების ორწლიან კურსს. პედაგოგიური ინსტიტუტი კი სამწლიან სწავლებას უფრო ეფექტიანად მიიჩნევს იმ მიზნის მისაღწევად, რაც ამ სახის სწავლებას დაუსახავს.

ამგვარად, პროფილური სწავლება სამწლიანი კურსით IX კლასიდან იწყება, ორწლიანი კურსი კი — მეათედან.

რა გამოდის? ერთი სახის სწავლებისათვის გვაქვს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული პროგრამა.

ჩვენი სკოლის პედაგოგიური კოლექტივის აზრით, დიფერენცირებული სწავლება სამწლიანი კურსით გაცილებით შედეგიანია.

ᲠᲣᲑᲔᲜ ᲔᲜᲣᲥᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, დოცენტი:

უკანასკნელ ხანს თბილისის უნივერსიტეტის (უპირველეს ყოვლისა, ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება) სასწავლო გეგმების შედგენის თვალსაზრისით ბევრად უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე წინათ, როდესაც გეგმებს ეგრეთ წოდებულ „ცენტრალიზებულ“ ყაიდაზე ვაწყობდით. თუმცა უნდა ითქვას, რომ ჩვენი ფაკულტეტი მამინაც პოულობდა რაღაც გზებს სასიკეთო ცვლილებებისკენ. ბოლო ორ წელიწადს, უნივერსიტეტის ავტონომიის გაფართოების კვალობაზე, მთლიანად ხელი ავიღეთ ადრინდელ გეგმებზე და ვმუშაობთ მხოლოდ ჩვენი საბჭოს მიერ დამტკიცებული და რექტორატის მიერ დადასტურებული გეგმით. ამან „საზოგადოებრივ მეცნიერებათა“ გეგმიდან ამოღებასთან ერთად შესაძლებლობა მოგვცა მნიშვნელოვნად დაგვეხვეწა სასწავლო გეგმა. ყურადღება ძირითადად გადატანილია სპეციალურ საგნებზე — ქართულ ენასა და ლიტერატურაზე, აგრეთვე მომიჯნავე დისციპლინებზე. კერძოდ, თანამედროვე ქართული ენაც და ქართული ლიტერატურის ისტორიაც შეისწავლება 9-9 სემესტრის მანძილზე. დიდად გაიზარდა ძველი ქართული ენის, ლიტერატურათმცოდნეობის შესავლის, საქართველოს ისტორიისა და რიგი სხვა საგნების შესასწავლად განკუთვნილი საათების რაოდენობა, შემოღებულია ახალი სასწავლო დისციპლინები, მაგალითად, თანამედროვე ქართული მწერლობის აქტიური პრობლემები.

ბოლოს და ბოლოს, ახლა მაინ[illegible] ვეცა ამის შესაძლებლობა [illegible] გულსატკენი იქნება, თუ ერ[illegible]ული კადრების მომზადების ხ[illegible] ისის გაუმჯობესების ასეთ შა[illegible] ხელოდან გავუშვებთ. რა თ[illegible] უნდა, ყველაფერი რიგზე [illegible] გვაქვს. სასწავლო გეგმები კ[illegible] ვაც გადატვირთულია. აქ ბ[illegible] გვიშლის წლების ჯანმავლობ[illegible] დამკვიდრებული ყალიბებიც, [illegible] რკვეული ინერციაც, კათედრ[illegible] და თუ, გნებავთ, პიროვნებ[illegible] ინტერესებიც. სიტყვით ყველ[illegible] სასიკეთო ცვლილებათა მომ[illegible] ნი ვართ, სამქმით ყველას გვსუ[illegible] რომ ჩვენს საგანს არ შეე[illegible] გვგონია, რომ სტუდენტებისათ[illegible] აუცილებლად საჭიროა მაინც [illegible] მაინც იმ საგნისა თუ სპეციალ[illegible] სის მოსმენა, ჩვენი კათედრ[illegible] რომ არის, ან პირადად ეკითხ[illegible] ობთ. თვითონ სტუდენტების ა[illegible] კი უეჭველად სჭირდება ანგ[illegible] მის გაწევა.

ჩვენი ფაკულტეტის სამეცნ[illegible] რო საბჭოს წევრ სტუდენტთა [illegible] კომენდაციით ზოგი რამ ჩ[illegible] სასწავლო გეგმებშიც შეიცვალ[illegible] განსაკუთრებით, მათი კანტაცი[illegible] ვის მხრივ, მაგრამ ჯერ კვლავ[illegible] ბევრი რამ არის ამ თვალსაზ[illegible] სით მოსაწესრიგებელი.

ყველაზე მთავარი კი ის გახ[illegible] ავთ, რომ ჩვენში შესაცვლელ[illegible] საზოგადოებრივი აზრი უმაღლ[illegible] განათლების მიღებაზე. საყოველ[illegible] თაოდ უნდა ვალიაროთ ანბანუ[illegible] ჭეშმარიტება, რომ უმაღლეს[illegible] სწავლებელში ლექტორმა უნ[illegible] ასწავლოს, ხოლო სტუდენტმა უ[illegible] და ისწავლოს. ჩვენ დიდი [illegible] გვაქვს გასავლელი იქამდე; მა[illegible] რამ ოდესმე ხომ უნდა შეეგ[illegible] გეთ?

ᲛᲐᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ
ᲜᲔᲡᲢᲐᲜ ᲒᲝᲒᲔᲚᲘᲐ.



ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: ახალი სკოლა საქაშეთში.
ᲒᲝᲩᲐ ᲑᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო.

ᲕᲘᲡ ᲣᲮᲛᲝᲑᲡ ᲖᲐᲠᲘ

— ᲕᲘᲡᲐ და, ზაფხულის მზით გარუჯულ, თვალხატულა გოგო-ბიჭებს, ხვალ დილით გორის რაიონის სოფელ საქაშეთის ახალთახალი, ქათქათა სკოლის ეზოში რომ შეიკრიბებიან პირველი ზარის ზეიმზე. მაგრამ სკოლის ზარი, — გვეუბნება სკოლის დირექტორი ტანია ნასყიდაშვილი, — იმათაც მოუხმობს, ვინც ეს დიდებული შენობა ააგო და სოფლის ახალგაზრდობას ამდენი სიხარული მოუტანა. ზეიმზე ჩვენ მშენებლებიც — „საქაგრომშენის“ № 3 სამშენებლო ტრესტის № 10 მოძრავ-მექანიზებული კოლონის მშრომელებიც მოვიწვიეთ, ახალი სასწავლო წლის დაწყება ერთად რომ აღვნიშნოთ.

ახალმა სკოლამ სოფელიც დაამშვენა და მისი შემოგარენიც. შენობა სამსართულიანია, განიერი დერეფნები, ნათელი საკლასო ოთახები და კლას-კაბინეტები, სპორტული და საკატო დარბაზები, კვების ბლოკი, საცურაო აუზი, ბიბლიოთეკა, უახლესი კომპიუტერებით აღჭურვილი ინფორმატიკის კაბინეტი, მედპუნქტი, სასწავლო სახელოსნო, მეტეოროლოგიური დაკვირვებისა და სპორტულ-გამჯანსაღებელი მოედნები — ყველაფერი ეს მოსწავლეთათვისაა განკუთვნილი.

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲭᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ

ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲮᲘ ᲒᲠᲓᲔᲛᲚᲘᲐ

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲝᲒᲘᲗᲮᲠᲣᲠᲔ,
ᲒᲝᲗᲮᲝᲕᲗ, ᲜᲣ ᲓᲐᲒᲔᲖᲐᲠᲔᲑᲐᲗ,
ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ
ᲐᲮᲐᲜᲮᲐᲠᲓᲘᲗ ᲖᲐᲠᲘᲗ,
ᲒᲐᲐᲦᲕᲔᲓᲘᲗ ᲨᲐᲢᲘᲚᲘ,
ᲝᲛᲐᲚᲝ ᲗᲣ ᲢᲐᲜᲔᲑᲘ,
ᲛᲘᲒᲪᲔᲗ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲔᲑᲘᲡ
ᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲔᲑᲘᲐ.
ᲛᲝᲓᲘᲡ ᲪᲘᲪᲘᲪᲜᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ
ᲛᲐᲨᲐᲕᲘᲠᲘᲗ, ᲬᲔᲠᲐᲥᲕᲘᲗ...
ᲡᲐᲐᲘᲠᲙᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲡᲙᲕᲜᲘᲐ,
ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲗᲘᲡ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ
ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲘᲢᲣᲐᲚᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ
ᲓᲐᲛᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ
ᲐᲠᲐ ᲛᲘᲜᲐᲠᲬᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ
ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲐᲓ.
ᲓᲐᲛ — ᲡᲐᲚᲐᲛᲘᲡ ᲛᲝᲪᲔᲛᲐ...
ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲓᲘᲓ ᲫᲛᲝᲑᲐᲡ

ᲒᲕᲘᲜᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲥᲕᲘᲗᲣᲠᲘ,
ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲠᲝᲛᲭᲔᲓᲔᲚᲘ,
ᲝᲥᲠᲝᲛᲙᲔᲓᲘᲗ ᲛᲭᲚᲝᲕᲔᲚᲘ,
ᲝᲥᲠᲝᲡ ᲙᲕᲔᲗᲘᲗ ᲛᲙᲕᲔᲗᲔᲚᲘ,
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ ᲓᲐᲛᲒᲕᲔᲚᲘᲪ,
ᲙᲐᲪᲘ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲛᲙᲜᲔᲢᲔᲚᲘ,
ᲠᲝᲛ ᲛᲐᲛᲣᲚᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲔᲜᲒᲠᲔᲡ
ᲥᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲘᲠᲘᲡ ᲙᲔᲓᲔᲚᲘ.
ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲮᲘ ᲒᲠᲓᲔᲛᲚᲘᲐ,
ᲧᲠᲛᲐᲗᲐ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲠᲐᲜᲓᲘ,
ᲔᲠᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲭᲔᲓᲚᲝ
ᲡᲙᲝᲚᲐ ᲘᲧᲝ ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲘ.
ᲡᲙᲝᲚᲐ ᲥᲛᲜᲘᲓᲐ, ᲡᲙᲝᲚᲐ ᲥᲛᲜᲘᲓᲐ
ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲡ.
ᲔᲠᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲛᲭᲔᲓᲚᲔ,
ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲐᲓ ᲭᲔᲓᲔ, ᲠᲐᲪ ᲭᲔᲓᲔ
ᲨᲔᲜᲖᲔ ᲣᲗᲥᲕᲐᲛᲗ: ᲝᲥᲠᲝᲠᲘᲗ
ᲮᲔᲚᲗ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲘᲑᲠᲫᲜᲔ ᲡᲐᲭᲔᲓᲚᲝ
ᲛᲝᲐᲑᲠᲣᲜᲔ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ,
ᲣᲤᲡᲙᲠᲣᲚᲘᲡᲙᲔᲜ ᲜᲣ ᲬᲐᲕᲐᲚᲗ
ᲣᲕᲘᲪᲝᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲕᲪᲔᲗ
ᲫᲕᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲡᲐᲚᲔᲜᲐᲕᲐᲓ,
ᲐᲮᲚᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲕᲘᲜᲐᲛᲘᲗ
ᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲕᲔᲜᲐᲛᲐ,
ᲡᲙᲝᲚᲐ ᲒᲐᲛᲗᲕᲘᲐᲧᲔᲜᲗ
ᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲕᲔᲜᲐᲕᲐᲓ.

ᲛᲝᲕᲐᲦᲔᲝᲒᲐ

ᲕᲘᲡᲐᲪ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲔᲘᲛᲔᲓᲔᲑᲘ

ᲨᲣᲨᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡ კედლები მქონდა შესალესი, მეზობელს ვთხოვე, თქვენთან რომ ხელსანები მოშაობენ, იქნებ თავისუფალ დროს რომელიმე დამახმარო-მეთქი.

შემოვიდა წარმოსადეგი გარეგნობის სიმპათიური ახალგაზრდა. მდაბალდ დამიკრა თავი და მოწიწებით მკითხა:

— მე სულიკო თუშურაშვილი ვარ. რა გაქვთ, ქალბატონო შესალესი?

შეუძლოდ ვიყავი, ძლივს წამოვდექი, ვაჩვენე, რაც მქონდა გასაკეთებელი.

საწოლი ოთახის ფანჯრიდან ვხედავდი, რა მონდომებით მუშაობდა, ზოგჯერ თავს ასწევდა, აივნიდან გასცქეროდა მთებს და ასე იდგა გარინდებული დიდხანს. ვატყობდი, რაღაც აწუხებდა.

თანდათან გავუხსენით გული ერთმანეთს.

— იხ, ქალბატონო, თურმე კაცის ცხოვრება მართლა საწყაული ყოფილა აღუსებელი.

— რაზე ამბობ სულიკო ამას, რა გაწუხებს, ასეთი?

— თქვენ ცხოვრებაგამოვლილი ქალბატონი ბრძანდებით, გეტყვით ყველაფერს. არ აეწყო თავიდან ჩემი ცხოვრება. ყოველთვის რაღაც მაწუხებდა, რაღაცით უკმაყოფილო ვიყავი. ვიფიქრე, უმაღლესს დავამთავრებ და დამთავრდება-მეთქი ჩემი წუხილი. ფიზიკოსტეტორის ინსტიტუტი დავამთავრე. ცოლი სიყვარულით შევირთე. შვილებიც მყავს, მაგათ ვენაცვალე. მაინც სულ რაღაც მაწუხებდა. ალბათ, არ მყოფნის შემოსავალი-მეთქი ოჯახის სარჩენად, — ვიიმედებდი თავს. მამაჩემის ხელობა კარგად შევეთვისე და, რო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვეობა და ისტორია შეულამაზებლად: ფიქრები ხმამაღლა

დამოუკიდებლობის სადარაჯოზე

ზოგიერთი საშორადღეგო მომენტი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან

ჩვენი საუკუნის დასაწყისში, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებამ, ეროვნული ცნობიერების გაღრმავებისა და განმტკიცების, საქართველოს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის სინამდვილემ წარმოშვა და განამტკიცა იმ დროისათვის არსებული სხვა პოლიტიკურ პარტიებთან შედარებით რიცხობრივად მცირე, მაგრამ მეტად გავლენიანი პოლიტიკური ძალა — საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომელიც ორგანიზაციულად გვიან, 1917 წელს გაფორმდა და მისი სამოქმედო პროგრამა ერის სახიცოცხლო ინტერესებსა და მოთხოვნილებებს დაეფუძნა.

წინამდებარე წერილი შევადგენეთ ფართო საზოგადოებრიობისათვის ნაკლებადცნობილი, ან საერთოდ უცნობი მასალების საფუძველზე, გამოვიყენეთ როგორც საზღვარგარეთ გამოქვეყნებული პოლიტიკური ლიტერატურა, ისე რესპუბლიკის სხვადასხვა არქივების უალრესად საინტერესო ფონდსაცავებში მიკვლეული დოკუმენტები, და ორ ნაწილად გავყავით.

პირველ ნაწილში გვესაუბრება თვით ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ცნობილი იურისტი, პუბლიცისტი, პოეტი და მთარგმნელი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე ბიორნი გვაზავა, რომლის ცხოვრება და მრავალმხრივი მოღვაწეობა მკითხველს უკვე გაეცნო გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ გურამ შარაძის საკანგებო წერილით „გიორგი გვაზავა“ (იხ. № 29. 14. 06.89).

მკითხველის წინაშეა მეორე ნაწილი ნაშრომისა „საქართველო და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, რომელიც 1928 წელს გამოსცა პარიზში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდათა საზღვარგარეთულმა ბიურომ. ტექსტი იბეჭდება შემოკლებით.

საქართველო და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

ახლა მოდაში შემოვიდა და ბევრიც ამტკიცებს, რომ ვითომდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დაარსდა მაშინ, როცა დაიწყო რუსეთის დიდი რევოლუცია. ეს არ არის მართალი. პარტია დაარსდა უფრო ადრე, 1905 წელს, და თავისი დაარსებით შეავსო ერთი დიდი ნაკლი საქართველოს პოლიტიკურ აზროვნებაში.

საქმე იმაშია, რომ საქართველოში პირველად ფეხი მოიკიდა სოციალისტურმა მოძღვრებამ. ამ მოძღვრებას საფუძვლად უდევს ე. წ. „ისტორიული მატერიალიზმი“. მართალია, ამ მსოფლმხედველობას აქვს თავისი მნიშვნელობა და მისი უარისყოფა შეუძლებელია, მაგრამ ეჭვი არ არის იმაშიც, რომ იგი არ არის ყველაფერი და ცხოვრების ყოველ მოვლენას ვერა ჰხსნის და ვერა ჰფარავს. იმის გვერდით არის კიდევ სხვა ძალა, არა ნაკლებ ძლიერი და შემოქმედი, რომელიც ატრიალებს ცხოვრებას და ჰქმნის ისტორიას. ეს ძალაა თავისუფლება.

მაგრამ თავისუფლება არის მხოლოდ იდეა. ის მზამზარეული არსად მოიპოვება და ერთბაშად ხელში არავის უვარდება. მას უნდა თანდათანური განხორციელება. ეს შეიძლება მხოლოდ მუდმივი შრომით და ბრძოლით. საჭიროა გაბაგრება ერთხელ დაპყრობილი პოზიციების და აქედან კვლად ბრძოლა მის გასაფართოებლად და ახალ პოზიციების მოსაპოვებლად. თავისუფლების ამ დაპყრობილ ნაწილებს ჰქვიან უფლება. აქედან იბადება კითხვა: საქართველოს. როგორც ერს, აქვს თუ არა რაიმე უფლება, რომ ჰღირდეს მისი გამაგრება ეროვნული განთავისუფლებისათვის?

სოციალისტები ამ კითხვას არც კი აყენებდნენ. მათთვის უფლება იყო მხოლოდ ეკონომიკის ზედნაშენი და ეროვნულ საკითხს სწყვეტდნენ ზოგადად და განყენებულად: ყველა თანასწორია და ყველას უნდა ჰქონდეს ერთი და იგივე უფლება თვითგამორკვევისაო. მაგრამ თანასწორობა არ არის რეალობა, ისიც არის მხოლოდ იდეა, რომლის თანდათანური განორციელება მოითხოვს ისევ შრომას და ბრძოლას...

ზოგი ერი საუკუნეებით იბრძვის, ღვრის სისხლს, რომ გამოსწედოს თავის ბედი და გაუთანასწორდეს სხვა უფრო წინწასულ ერებს. ასეთია ქართველი ერი. ის იბრძოდა ოცი საუკუნის განმავლობაში, შექმნა თავისი კულტურა, ლიტერატურა და ხელოვნება, მას ანგარიშს უწევდნენ მეზობელი სახელმწიფონი; თვით რუსეთის იმპერიამ საჭიროდ დაინახა 1783 წელს დაედო მასთან ხელშეკრულება და მიეღო თავისთავზე მთელი რიგი ვალდებულებისა...

ამიტომ საქართველოს პოლიტიკურ მოთხოვნილებას ჩვენ საფუძვლად დავუდეეთ იდეა უფლებისა.

ჩვენს პროგრამაში საქართველო გამოდიოდა არა როგორც გამოურკვეველი რამე, რომელსაც უნდა მისცემოდა უფლება თვითგამორკვევისა, არამედ როგორც სუბიექტი საერთაშორისო უფლებისა, სავსებით გამორკვეული თავისი ტერიტორიით და სახელმწიფოებრივი მთლიანობით.

პირველი მუხლი ჩვენი პროგრამის აცხადებდა: „საქართველოს და რუსეთს შორის დადებულ ხელშეკრულების ძალით, საქართველო მოითხოვს ავტონომიურ წყობილებასო“.

როგორც ყველამ იცის, ავტონომია არის ისეთი შემეცნება, რომელშიდაც მოქცეულია ეროვნული და ტერიტორიალური მთლიანობა. ეს სახელმწიფოებრივი ფორმა პირველი საფეხურია პოლიტიკური დამოუკიდებლობისა. დაპყრობილ ერს მეტის თქმა არ შეეძლო. დანარჩენი მუხლები პროგრამისა იყო ოგივე, რაც ეხლა გვაქვს. დავბეჭდეთ 10 ათასი ცალი ამ პროგრამისა და გავავრცელეთ ხალხში. ავიირჩიეთ პრეზიდიუმი. პარტიის ბეჭედზე ამოჭრილი იყო „საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“. ამით დაიწყო პარტიული მუშაობა.

პირველი პერიოდი

ეხლა ხშირად გვესმის საყვედური: „შეიძლება პარტია დაარსება. მაგრამ საქმით ვერა გაგიკეთებიათ რაო“. ეს საყვედური არ არის სამართლიანი. აი ზოგიერთი ფაქტები: პარტიის დაარსებისთანავე ჩვენ გამოვეცით პირველი პარტიული ორგანო „გრუზინსკაია მისლ“. საჭიროდ დავინახეთ რუსულად გამოგვეცა, რომ ჩვენი პოლიტიკური მოთხოვნილება დაგვეყენებინა რუსეთის წინაშე. პირველ ნომერშივე მივიღეთ ავტონომია თანახმად ჩვენი პროგრამისა. შედეგი: გაზეთი დაჰხურეს, მე გადამასახლეს, როგორც რედაქტორი.

1906 წელს „კავკასიის იურიდიულ საზოგადოებაში“ დაისვა საკითხი ერობაზე და ექს-ტერიტორიალურ ავტონომიაზე. აქაც გამოვიტანეთ ჩვენი პროგრამა. დიდი დავის შემდეგ, რომელიც გაგრძელდა თითქმის ორი თვე, დიდძალი ხალხის დასწრებით, კრებამ მიიღო დადგენილება: „საქართველო ეროვნულად და ტერიტორიულად წარმოადგენს ისეთ ერთეულს, რომ იქ ეხლავე შეიძლება შემოტანილ იქმნას ავტონომიური წყობილებაო“.

თუ მივიღეთ მხედველობაში, რომ „კავკ. იურ. საზოგადოებაში“ შედიოდნენ წარმომადგენლები ყველა ერებისა და იქ დიდ უმეტესობას შეადგენდნენ სომხები და რუსები, ეს დადგენილება უნდა ჩაითვალოს პარტიის დიდ გამარჯვებად. ამ დადგენილებას ექნებოდა ერთნაირი წონა რუსეთის საკანონმდებლო სფეროში. მახსოვს ილია ჭავჭავაძემ აიღო ასლი ამ დადგენილების და წაიღო პეტერბურგში, სახელმწიფო საბჭოში (რომლის წევრი თვითონ იყო), რომ გაეცნო თავის კოლეგებისათვის. არჩილ ჯორჯაძემ მას მიუძღვნა რამდენიმე წერილი.

1907 წელს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ გეიტახა სახელგარეშეთ საქართველოს საკითხი. ამ წელს იკრებებოდა ჰააგაში მეორე საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენცია. საჭირო იყო იქ მიგვეტანინა რაიმე ფორმით საქართველოს ხმა. ამისთვის შევადგინეთ პეტიცია, მოვაგროვეთ საქართველოში 7 ათასამდე ხელის მომწერი და გავიტანეთ საზღვარგარეთ ეს სია და პეტიცია. ამ საქმეში უმთავრესი სამსახური მიუძღვის ვარლამ ჩერქეზიშვილს. მან გამაცნო ბრიუსელში პროფესორი ნაისი, რომელმაც გაასწორა ჩვენი პეტიცია და უფრო ნათელჰყო საქართველოს უფლებრივი სტატუსი რუსეთის იმპერიაში. ეს პეტიცია შეტანილ იქმნა (ინგლისში მოწყობილ „ქართულ საზოგადოების“ საშუალებით), ჰააგის კონფერენციაში. ჰააგაში მე დავყავი ერთ თვეზე მეტი. იქ შეეხვედი ეგვიატელეს და კორეელეს, ჩამოსულნს აგრეთვე თავიანთ ერთა უფლების დასაცველად.

საქართველოს პეტიცია დაურიგდა კონფერენციის ყველა წევრს, ყველა დელეგატებს და გამოქვეყნებულ იქნნა **მთლიანად** ყველა დიდ გაზეთში, ევროპაში და ამერიკაში. შევქმენით ერთი მომენტი მაინც, როცა ყველა ქვეყნის ყურადღება მიქცეულ იყო საქართველოს ბედზე. ბევრი იყო კონგრესები — ვენის, პარიზის, ბერლინის... საქართველომ ყველა გამოუშვა ან ვერ მოაზერხა იქ მიეტანა თავის პროტესტი რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ. ის უფრო ადვილად აწყობდა აჯანყებებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამით ვერა აწვდებოდა საერთაშორისო პოლიტიკის სფეროს. 1907 წელს ჩვენი პარტია თვითონ წარდგა ამ სფეროს წინ და ამცნო ყველას, რომ საქართველო არ შერიგებია და არც შეურიგდება ვერაფრაულად დამყარებულს რუსეთის ბატონობას.

1909 წელს გამოვეცით ჟურნალი „ერი“ პ. სურგულაძის რედაქტორობით. ეფიქრობდით კიდეც რაიმე მილიტარული ძალის მოწყობაზე. გავგზავნეთ პრაგაში ერთი წევრი, რომ დაწერილებით შეესწავლა, თუ როგორ იყო დაყენებული იქ გიმნასტიური საზოგადოება „შავარდენი“. მაგრამ დავიწყეთ თუ არა ამ საგანზე წერა, ჟურნალი დაჰხურეს, პ. სურგულაძე გიიქცა საზღვარგარე. მე გადავიწყვიტეს ერთი წელიწადი ციხე.

ავარი გვქონდა სხვა გამოცემანიც, უფრო რუსულ ენაზე, რომლისთვის პატიეცემული ჩვენ ბატონ ომანიშვილი არ ზოგავდა ფულს და ენერგიას. ვიღებდით მონაწილეობას სახელმწიფო არჩევნებში და ვემზადებოდით შემდეგი სამშვიდობო კონფერენციისათვის, რომელიც უნდა მომზდარიყო 1914 წელს ჰააგაში, მაგრამ ატყდა მსოფლიო ომი, შემდეგ რევოლუცია და დაიბზარა მთელი რუსეთი.

მეორე პერიოდი

1917 წელი მეტად ხელსაყრელი იყო. რომ გადაგვეგდო მეორე ნაბიჯი და პირდაპირ გამოგვეცხადებია, რომ რუსეთმა არ შეასრულა არც ერთი თავისი ვალდებულება და ამიტომ საქართველოც სრულებით თავისუფალია, გამოაცხადოს თავისი დამოუკიდებლობა. საჩქაროდ მოვიწვიეთ პარტიული კონფერენცია და მივიღეთ საპროგრამო დადგენილება, რომ საქართველო ამიერიდან უნდა იყოს დამოუკიდებელი სახელმწიფო.

24 მაისს 1918 წელს. სათავადაზნაურო ბანკის შენობაში მოხდა ინტერპარტიული სხდომა ბატონ ნ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით. საკითხი იდგა ამ დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე. წარმოდგენილი იყო ორი პროექტი დეკლარაციისა: ერთი — სოციალ-დემოკრატიული ბატონ არსენიძის მიერ, მეორე — წარვადგინე მე ჩვენი პარტიის სახელით. ბატონ ჟორდანიას არ. მოეწონა პირველი, მაგრამ მიიღო მეორე. რასაკვირველია, აქ უმთავრესი დამსახურება მეუძღვის ბატონ ჟორდანიას. უეჭველია ჩვენი დეკლარაცია ვერ გამოვიდოდა იმ სახით, რომელიც ამჟამ აქვს.

ჩვენ კი ვგვონია, რომ საქართველო ამ ისტორიული აქტით ამალლდა თავის ეროვნულ-ეროსების შეგნებამდე და გადაწყვეტილი შეუერთდა კულტურულ კაცობრიობას. ამ დღიდან ის მართალი გახდა თავგამოდებული მებრძოლი საერთო ფრონტისა საერთო იდეალებისათვის. ამით მან გზა უჩვენა სხვა ერებსაც კავკასიაში: აზერბაიჯანის და სომხეთის დეკლარაცია სიტყვა სიტყვით გადმოწერილია ჩვენი დეკლარაციიდან. ყველგან ჰკრთის ცოტაოდენი ქეელი მაინც, მომდინარე ჩვენი პარტიის იდეოლოგიიდან.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დადგა უფრო ძნელი და საპასუხისმგებელო პერიოდი. უნდა გაგვეწმინდა საქართველო რუსეთის იმპერიალიზმის ნაშთებისაგან და აგვეგო ახალი სახელმწიფო. გაიხსნა ვიცელი ასპარეზი უფლებრივი შემოქმედებისათვის. სწორედ ეს შემოქმედება არის უმაღლესი ფორმა ეროვნული სუვერენობისა. ეხლა, როცა ჩვენ ვიხედებით, შეგვიძლია ამაყად ვსთქვათ, რომ ქართველ ერმა დაიჭირა ეს სახელმწიფოებრივი გამოცდა და მისგან გამოვიდა უდაოდ გამარჯვებული.

ამ შემოქმედებისთვის მოწვეულ იქმნა დამფუძნებელი კრება, არჩეული საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით, პროპორციული პრინციპის ზედ მიმატებით. ეს არის ერთად ერთი, ცნობილი სახელმწიფო უფლებაში. უდავო წესი ერის ნებისყოფის გამოსარკვევად. სხვა გზა ცხოვრებამ არ იცის და მეცნიერებას არ გამოუგონია. ეს არჩევნები ისეთი დიდი მოვლენა იყო საქართველოში, რომ ჩვენი ბერებიც კი იძულებული არიან აღიარონ უფლებრივი საფუძველი მოხდენილი გადატეხისა, ე. ი. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა. საქმე იმაშია, რომ ამ „გადატეხასაც“ უნდა თავისი უფლებრივი საფუძველი. რომ საქართველოს უფლება ჰქონდეს გამოეცხადებინა თავისი დამოუკიდებლობა, ეს ყველასათვის ცხადი იყო. მაგრამ ვინ იხამდა ამას? არ იყო ის ორგანო, რომელსაც შეეძლო ეს გამოეხდინა. ყოველი ჭკუფური გამოსვლა იქნებოდა მხოლოდ ერძო გამოსვლა, მოკლებული უფლებრივ შინაარსს. მართალია, თუ ერძო ჯგუფი თანდათან გაიძარკვებდა, შემოიკრებდა მეტ ძალას, ის გახდებოდა ფაქტური მმართველი ქვეყნისა. მაგრამ ფაქტიურ მმართველობას კიდევ არ აქვს უფლებრივი საფუძველი. ამისთვის საჭიროა კიდევ ფაქტური მოელი ერის და საეროთაშორისო ცნობა. ეს დასტური ჩვენ მივიღეთ დამფუძნებელი კრებისაგან. ეროვნული ნებისყოფა გახდა ყველასათვის ცხადი და უდავო. ამიერ დამოუკიდებლობის დეკლარაციას მიეცა სრული უფლებრივი საფუძველი, ის არ არის ფანტაზია მოცალული ინტელიგენციისა, ის არის მთელი ერის გადწყვეტილება. მაშასადამე, ეროვნული ნებისყოფა ქართველებისათვის.

შემოქმედება დამფუძნებელი კრებისა გამოხატა ამ ბერ შეშფოთებულ და დამტანჯველ კონსტიტუციაში. გადამეტებული იგი და დარეფუძდებით, რომ მას საფუძველად ედვა ერი ბრძოლაში თავისუფლება და ერძო ხალხური ყოფილი. ეროვნული, როგორც სხვა გადაწყვეტილებანი, ყოველთვის

(გაგრძელება გვ. 3-ზე).

თანამედროვეობა და ისტორია შეულამაზებლად: ფიქრები ხმამაღლა

დროის ქროლვის შეუვალ კანონზომიერებათა წყალობით ნამდვილ სამშობლოს უბრუნდებიან „გულაგის არქიპელაგი“ და მისი შემოქმედი ალექსანდრე სოლჟენიცინი.

ახლა მის შესახებ ბევრი იწერება, სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულებით მწერალს აღუდგინეს საბჭოთა მოქალაქეობა, ქვეყნდება მთელ მსოფლიოში უკვე აღიარებული მისი ნაწარმოებები, რომელთა მთავარი მიზანი და დანიშნულებაა საბჭოთა სინამდვილის უკიდურესად კრიტიკულ პრიზმაში წარმოსახვა.

კერძოდ, ლაპარაკია „გულაგის არქიპელაგზე“, რისთვისაც თავის დროზე ა. სოლჟენიცინმა ნობელის პრემია და სამშობლოდან გაძევება დაიმსახურა.

თვითონ ავტორის აზრით, „არქიპელაგი“ ერთ პიროვნებას კი არა, ათასობით ადამიანს უნდა დაეწერა, ყველას მთელი ძალით ემხილებინა რეპრესიების სიმძიმე და სიმწარე, მით უმეტეს ისეთ პირობებში, როცა სიმართლე სასტიკად იდევნებოდა.

ამიტომაც მიმართავდა იგი ჯურღმულებგამოვლილ ტანჯულ მეგობრებს, რაც საჭიროდ მიიჩნიოთ, შეასწორეთ, თქვენი დამატებანი და მოსაზრებანი მომაწოდეთო.

„გულაგის არქიპელაგი“ იწყება სიტყვებით: „ვუძღვნი ყველას, ვისაც არ ეყო სიცოცხლე ეამბნა ეს. დაე, შემინდონ მათ, რომ ყველაფერი ვერ დავიხსენი, ყველაფერს ვერ ჩავხედი“.

თუ რას ჩახედა და ვერ ჩახედა ალექსანდრე სოლჟენიცინი, ეს ნათლად ჩანს „არქიპელაგის“ მესამე ნაწილის ურთი მონაკვეთიდან, რომელსაც მკითხველს ვთავაზობთ.

• • •

„ომის დროს ბანაკებში ცოტას ხვრეტდნენ (თუ არაფერს ვიტყვით იმ რესპუბლიკებზე, საიდანაც აჩქარებით ვიხევდით უკან: იქ ასობით და ათასობით ადამიანს ხვრეტდნენ მისატოვებლად გამზადებულ საპყრობილეში). სამაგიეროდ, გამალებით თითხნიდნენ პატიმრობის ახალ, ცილისმწამებლურ ვადებს: ოპერჩეკისტებს ამ ადამიანების განადგურება კი არ სჭირდებოდათ, არამედ დანაშაულთა გახსნა. მისჯილებს კი შეეძლოთ ეშრომათ, ანდა სული განეტევებინათ. — ეს უკვე საწარმოო საკითხია.

ამის საპირისპიროდ, 1938 წელს იჩენდნენ უმაღლეს მოუთმენლობას — დახვრიტეთ! ხვრეტდნენ შეძლებისდაგვარად ყველა ბანაკში, მაგრამ ყველაზე მეტი მოუვიდათ კოლიმასა („გარანინის“ დახვრეტები) და ვორკუტაში („კაშკენტინის“ დახვრეტები).

კაშკეტინის დახვრეტები დაკავშირებულია კანისაბურძგლავ სახელწოდებასთან — „ძველი აგურის ქარხანა“. ასე ერქვა ვორკუტის სამხრეთით ოც კილომეტრზე მდებარე ვიწროლიანდაგიან სადგურს.

1937 წლის მარტში ტროცკისტული შიმშილობის „გამარჯვებისა“ და მისი მოღორების შემდეგ აჯანყებულთა საქმის გასაძიებლად მოსკოვიდან „გრიგოროვიჩის კომისია“ გამოგზავნეს. უხტის სამხრეთით მდინარე როპჩაზე გადებული რკინიგზის ხიდის მახლობლად, ტაიგაში მორებიანი მესერი შემოავლეს და შექმნეს ახალი იზოლატორი — უხტარკა. აქ იძიებდნენ მაგისტრალის სამხრეთი ნაწილის ტროცკისტების საქმეს. ხოლო თვით ვორკუტაში კომისიის წევრი კაშკეტინი ებრძოდა ტროცკისტებს. იქ იგი „საგამძიებო კარავში“ გაატარებდა ხალმე ტროცკისტებს (მათრახით როზგავდა!), ერთობ დაჟინებით არც მოითხოვდა, რომ დანაშაული ეღიარებინათ და „კაშკეტინის სიტყს“ ადგენდა.

1937-38 წლების ზამთარში თაშეყრის სხვადასხვა ადგილიდან — სარიაგის შესარავის, კოჩჩასის, სივოი მასკის, უნტარკის ბანაკებიდან მოყვანილი ტროცკისტებისა და აგრეთვე დეკისტებს („დემოკრატიულ ცენტრალისტებს“) ძველი აგურის ქარხანასთან აგროვებდნენ (ზოგიერთებს — გამოუძიებლად). რამდენიმე ყველაზე გამორჩენილი მოსკოვში წაიყვანეს პროცესებთან დაკავშირებით. დანარჩენმა 1938 წლის აპრილისათვის ძველ აგურის ქარხანასთან ათას ორმოცდაცამეტი ადამიანი შეადგინა. ტუნდრაში, ვიწროლიანდაგიანი სადგურის განცალკევებით, ძველი გრძელი ფარდული იდგა. სწორედ მასში შეასახლეს მეამბოხენი, შემდეგ შეესებისათვის გვერდით მიუმატეს კიდევ ორი ძველი, დაფხრეწილი, რაიმესაგან დაუცველი კარავი თითოეული ორასორმოცდაათი კაცისათვის. თუ როგორ ინახავდნენ იქ პატიმრებს, შეგვიძლია ვიკარაუდოთ ოროტუკანის მიხედვით. ოცი მეტრი სიგრძისა და ექვსი მეტრი სიგანის ასეთი კარვის შუაგულში ღუმელის ნაცვლად იდგა ბენზინით მომუშავე კასრი, რომელშიც დღე-ღამის მანძილზე ერთ ვედრო ნახშირს ყრიდნენ, მას უმატებდნენ აგრეთვე ტილებს, შეთბობისათვის. გადასაფარებელს ბიგნიდან სქელი ჭირხლი ედო. ტახტზე ადგილი არ ჰყოფნიდათ და მორიგეობით ხან იწვნენ, ხან დადიოდნენ. დღეში სამას გრამ პურს და ერთ ჯამ ბალანდას აძლევდნენ, ზოგჯერ, ყოველდღიურად კი არა, ვირთვეზას ნაჭერს სთავაზობდნენ. წყალი არ იყო და ყინულის ნატეხს, როგორც ულუფას არგუნებდნენ. რასაკვირველია, არასდროს იბანდნენ, ანდა არ ჰქონდათ. სხეულზე სურავანდის ლაქები ემჩნეოდათ.

მაგრამ განსაკუთრებით შეაძარწუნებელი ის იყო, რომ ტროცკისტებს ბანაკის შემტევი ძალა, ყოჩი ქურდები, მათ შორის სიკვდილმისჯილი მკვლელები ჩაუსახლეს. თანაც ისინი დაკავალიანეს, რომ ამ პოლიტიკური ვიგინდარებისათვის ღდინი გაეცალათ და ამისათვის მათ, ყოჩ ქურდებს, ხვედრის შემსუბუქებას ჰპირდებოდნენ. ესე სასიამოვნო და თავიანთი განნყობილების შესაფერისი დავალების მიღების შემდეგ ქურდები საქმეს ხალისიანად მოეკიდნენ. ისინი ზემდეგებად (ერთ-ერთი მათგანის ზედმეტი სახელიც შემორჩა — „მოროზი“) და ზემდეგის თანაშემწეებად დანიშნეს, მუდამ ხელჯოხით დადიოდნენ და ურტყამდნენ ძველ კომუნისტებს, როგორც კი შეეძლოთ ამცირებდნენ: ზურგზე შემოასხდებოდნენ ხოლმე და ისე ატარებდნენ, ვინმეს რაიმეს წაართმევდნენ, მასში მოისაქმებდნენ და დასაბუგავად ღუმელში გადაუძახებდნენ. ერთ-ერთი ბანაკის პოლიტიკური პატიმრები ქურდებს მოსაკლავად თავს დაესხნენ, მაგრამ მათ ყვირილი ატეხეს და ბადრაგმა გარეედან ჯარავს ცეცხლი დაუშინა, სოციალურად მახლობელი ადამიანები დაიცვა.

ყოჩი ქურდების ამ დამცირებამ ერთობ შეარყია ცოტა ხნის წინათ გაფიცულთა ერთიანობა და ნებისყოფა.

ძველი აგურის ქარხანაში, ცივ და მიუსაფარ ჯურღმულებში, უბადრუკ და გაუხურებელ ღუმელებში იფერფლებოდა ორი ათწლეულისა და ბევრი აქ მყოფის სიმკაცრეთა რევოლუციური აღტყინება.

და მაინც, ძველი აგურის ქარხნის ტუსაღები ადამიანისათვის დამახასიათებელი იმედიანობის გამო ელოდნენ, რომ რაღაც ახალ ობიექტზე გაგზავნიდნენ. უკვე მერამდენე თვე აქ იტანჯებოდნენ და მეტის ატანა აღარ შეეძლოთ. და მართლაც, 22 აპრილის დილაადრიან (თარიღს მთლად ვერ ვენდობით — ამ დღეს ხომ ლენინი დაიბადა) ორასკაციანი ეტაპის შეგროვება დაიწყეს. გამოძახებულები თავიანთ ჩანთებს იღებდნენ და მარხილი ზემდეგებად (ერთ-ერთი მათგანის ზედმეტი სახელიც შემორჩა — „მოროზი“) და ზემდეგის თანაშემწეებად დანიშნეს, მუდამ ხელჯოხით დადიოდნენ და ურტყამდნენ ძველ კომუნისტებს, როგორც კი შეეძლოთ ამცირებდნენ: ზურგზე შემოასხდებოდნენ ხოლმე და ისე ატარებდნენ, ვინმეს რაიმეს წაართმევდნენ, მასში მოისაქმებდნენ და დასაბუგავად ღუმელში გადაუძახებდნენ. ერთ-ერთი ბანაკის პოლიტიკური პატიმრები ქურდებს მოსაკლავად თავს დაესხნენ, მაგრამ მათ ყვირილი ატეხეს და ბადრაგმა გარეედან ჯარავს ცეცხლი დაუშინა, სოციალურად მახლობელი ადამიანები დაიცვა.

ყოჩი ქურდების ამ დამცირებამ ერთობ შეარყია ცოტა ხნის წინათ გაფიცულთა ერთიანობა და ნებისყოფა.

ძველი აგურის ქარხანაში, ცივ და მიუსაფარ ჯურღმულებში, უბადრუკ და გაუხურებელ ღუმელებში იფერფლებოდა ორი ათწლეულისა და ბევრი აქ მყოფის სიმკაცრეთა რევოლუციური აღტყინება.

და მაინც, ძველი აგურის ქარხნის ტუსაღები ადამიანისათვის დამახასიათებელი იმედიანობის გამო ელოდნენ, რომ რაღაც ახალ ობიექტზე გაგზავნიდნენ. ეს იყო ფანტაზია მომავალი ომის თემაზე. თოვლის დროებითი სიმაგრეებიდან წამოეგმართნენ პოლარული ბალახონებში ბაღმწყობილი მკვლელები (ამბობენ, მათი უმრავლესობა ქართველები იყვნენო), ისინი გზისკენ გარბოდნენ და ჯერ კიდევ ცოცხლებს კოლტებით ბოლოს უღებდნენ. იქვე ახლოს გაემზადებინათ ორი თხრილები, რომლებშიც ყოჩი ქურდები გვამებს ყრიდნენ. გარდაცვლილთა ნივთები, ყოჩების სამნუნხაროდ, დაწვეს.

23 და 24 აპრილს იქვე და ისეთნაირადვე კიდევ შვიდას სამოცი კაცი დახვრიტეს.

ეტაპით ვორკუტაში ოთხმოცდაცამეტი დაბრუნეს. ისინი ყოჩი ქურდები და, ცხადია, დამბეზღებელი-პროვოკატორები იყვნენ.

ასახელებენ როიტმანს, ისტნიუკს, აილივეს, ყოჩი ქურდებიდან — ტადიკ ნიკოლაევსკის. ჩვენ არ შეგვიძლია უეჭველად ვამტკიცოთ, თუ სახელდობრ რისთვის შეინწალეს თითოეული მათგანი, მაგრამ სხვაგვარი მიზეზის წარმოდგენა ძნელია.

დაასახელეს აგრეთვე მოდელი. ახლა მომაწოდეს დაზუსტებული კოლექტიური ცნობა მოსე იოსების ძე მოდელის შესახებ, რომ იგი, თურმე, ძველ აგურის ქარხანასთან კი არ შეუწყალებიათ, არამედ ჯერ კიდევ საჯარიმო ეტაპიდან დაუხსნიათ. როგორ? რანაირად? ორთოდოქსებისათვის ერთობ დამახასიათებელი ეპიზოდია: ერთ-ერთი აქ გამწესებული შინსახკომელი აღმოჩენილა მოდელის თანამშრომელი პეტროგრადის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტთან არსებული საგამძიებო კომისიიდან (ესე იგი ისინი ერთად ასწორებდნენ ანგარიშს ოქტომბრის დღეებში). სიაში მოდელის გვარს რომ წასწყდომია, საიდუმლოდ ამოუღია მისი საქმე და ასე გადაურჩენია თანამოსაგრე.

კაშკეტინის დახვრეტების შესახებ აქ მოტანილი ცნობები ჩემთან მჯდომმა ორმა პატიმარმა მომაწოდა. ერთი მათგანი იქ იყო და შეინყალეს, მეორემ, ძალზე ცნობისმოყვარემ და იმთავითვე ისტორიის წერის ჟინით შეპყრობილმა, შეძლო ცხელ კვალზე დაეთვალიერებინა ის ადგილები და გამოეკითხა, ვისზეც ხელი მიუნვდებოდა.

მაგრამ სიკვდილმისჯილთა ეტაპები შორი მივლინებიდან იგვიანებდა, მათ ხუთი-ათი კაცის ოდენობით იღებდნენ. მკვლელთა რაზმი ახალმოსულებს აგურის ქარხნის სადგურთან ეგებებოდა, და მიაცილებდა ძველ აბანო-ჯიხურამდე, რომელიც შიგნიდან სამ-ოთხ ფენად საბნებით გამოეძინძათ. იქ მიყვანილ სიკვდილმისჯილებს უბრძანებდნენ თოვლში გაეხადათ და შიშველი შესულიყვნენ. შიგნით კი პისტოლეტებით ხვრეტდნენ. თვენახევარში ასე გაანადგურეს დაახლოებით ორასი კაცი. მოკლულთა გვამებს ტუნდრაში ნვავდნენ.

ცეცხლი წაუკიდეს აგრეთვე ძველი აგურის ქარხნისა და უხტარკის ქოხებს („აბანო“ შემდეგ რკინიგზის ბაქანს მიაყენეს, ვიწროლიანდაგიანი რკინიგზით 308-ე პიკეტზე გადაიტანეს და იქ დაადგეს. სწორედ მაშინ გამოიკვლია იგი ჩემმა ახლობელმა. აბანო შიგნიდან სულ სისხლით იყო გალყენილი, ხოლო კედლები ერთიანად ტყვიებით დაეცრილათ).

იქვე და იმავე დროს ტროცკისტების დახვრეტის კიდევ ერთ შემთხვევას მოგგითხრობს ფრანც დიკლერი (ბრაზილიელი ებრაელი, იგი ნიუ-იორკში გაიტაცა საბჭოთა პროპაგანდამ, 1937 წელს საბერძნეთის გემით რადისტად მოევლინა ლენინგრადს, ჩამოსვლისთანავე ნაპირისკენ გამოიქცა, რათა მონაწილეობა მიეღო სოციალიზმში, მაგრამ მაშინვე გაქაჩეს და მოუსაჯეს). 1938 წლის გაზაფხულზე იგი ვორკუტის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის რუდნიკუსას მონაკვეთზე დამმუხრუჭებლად მუშაობდა. ერთხელ ოპერჩეკისტთა განყოფილებიდან ბრძანება მიიღეს: შეწყვიტეთ მოძრაობა, ქვანახშირი არ ჩატვირთოთო, მოამზადეთ ოთხი ბაქანი და ორი თბილანა ვაგონი უსაში ეტაპის წასაყვანადო. მართლაც, მრავალრიცხოვანი ბადრაგისა და ძაღლების თანხლებით ორას ორმოცდაათი კაცი მოიყვანეს, მათგან ორმოცდაათი — ბანდიტ-რეციდივისტი, დანარჩენი ტროცკისტები, რვა ქალი. უმრავლესობას კარგად ეცვა — ბეწვიანი ქუდები, ბეწვიანი საყელო, ჩემოდნები. მათ შორის დიკლერმა დაინახა თავისი ნაცნობი — ანდრეიჩინი, წარმოშობით იუგოსლავი, მაგრამ ცნობილი ამერიკელი კომუნისტი, ფოსტერისა და ბრაუდერის თანამებრძოლი. ადრე დიკლერს მოსმენილი ჰქონდა მედიასონ სკვერ გარდენში მის მიერ წარმოთქმული სიტყვა, ხოლო წინა დღეებში ზონაში შეეჩეხა, შეიტყო მოწყობილი წარმატებული გაფიცვის თაობაზე — მათ დაუწესეს მშრალი ულუფა, გამოსასვლელი დღეები, ბრიგადებიცა და ბარაკებიც ცალკე ჰქონდათ. ახლა ისინი ცარიელტარიელ ბაქანში შეეყარათ, თოვლი მოდიოდა, ყინავდა და ისინი გზას გაუყენეს. ციცაბო დალმართზე დიკლერს მუხრუჭის საჭელური ეჭირა და ბაქანს გაჰყურებდა. ანდრეიჩინმა იგი დალანდა, განგებ გვერდზე გაიხედა, თითქოსდა მის გასაგონად კი არა, მაგრამ მთელი ხმით დაიყვირა:

„ფრანკ! მისმინე და არ მიპასუხო. ეს უკვე დასასრულია. ჩვენ სასაკლაოზე მივყავართ! ფრანკ, მისმინე, თუ შენ ოდესმე თავს დაადევ, მთელ მსოფლიოს აუწყე, თუ რანი არიან ესენი: ავადმყოფების ბანდა! მკვლელები, ბანდიტები!“.

შემდეგ განმეორებით მიაძახა იგივე სიტყვები. დიკლერი ცახცახებდა. მის გვერდით მოედგა ზე იდგა ძველი კომელი გასამხედროებ

უცხოეთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკური პორტრეტის შტრიხები

ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანების პროცესი დასასრულს უახლოვდება — 12 სექტემბერს მოსკოვში „2+4“ ფორმულით მოლაპარაკების მონაწილეებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ერმანიის მიმართ საბოლოო მოწესრიგების შესახებ. ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის შექმნაში და საერთოდ გაერთიანების პროცესში ძალზე აქტიური როლი შეასრულა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გიაცე-ყანცლერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰანს-დიტრიხ გენშერმა, რომელმაც ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა: „გდრ-ში მშვიდობანი რევოლუციიდან თორმეტი თვის შემდეგ ხდება გერმანიის გაერთიანება თავისუფლებისა და მშვიდობის პირობებში... ჩვენთვის ეს სიხარულის დღე, ხსოვნისა და მადლიერების დღეა“.

... მსოფლიოში ძნელად თუ მოიძებნება 3.—დ. გენშერის სტატუსის მქონე პოლიტიკური მოღვაწე. 21 წელია იგი გფრ-ის მთავრობის შემადგენლობაშია. იწყებდა როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი კანცლერ ვ. ბრანდტის დროს, 1974 წლიდან კი მთავრობის ხელმძღვანელის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრია, ბოლო 16 წლის განმავლობაში 3.—დ. გენშერი 3. შმიდტისა და ჰ. კოლის, აბსოლუტურად განსხვავებული ადამიანებისა და პოლიტიკოსების კაბინეტებში მუშაობდა და ამ თვალსაზრისითაც მას ანალოგი არ უნდა ჰყავდეს. გენშერი უკვე აღარ ხელმძღვანელობს თავისუფალ დემოკრატიულ პარტიას, მაგრამ უდიდესი ავტორიტეტის ძალით კვლავინდებურად მისი აღიარებული ლიდერი და ბურჯია მთავრობაში. ჩვენი მუდმივი რუბრიკის ერთ-ერთი ბოლო გმირის, იაპონიის პრემიერ-მინისტრის ტ. კაიფუსგან განსხვავებით, გენშერი მშვენიერებელებით არ გამოირჩევა, უფრო მეტიც — მისი გამოსვლები საკმაოდ მონოტონურია. მაგრამ პრესამ იცის, რომ ამ ორატორის ირისენალი ყოველთვის მოიძებნება საყურადღებო „ზარი“, ამიტომ ზოგჯერ ჟურნალისტები ცდილობენ წინასწარ გაიგონ, თუ რომელ გვერდზე ეძებონ იგი. სრულიად განსხვავებულია გენშერი სლავური სისხლის შესაძლო მცირე ნაწილმა განაპირობა მისი ინტერესი აღმოსავლელი მეზობლებისადმი. 70-80-იანი წლების უკიდურესად გამწვავებულ საერთაშორისო ვითარებაშიც კი, როდესაც ავღანეთში ომი გრძელდებოდა, ევროპაში კი საშუალო სიშორის რაკეტებს განლაგებდნენ, საგარეო საქმეთა მინისტრი მაინც ცდილობდა მოსკოვთან კონტაქტების შენარჩუნებას. დიალომატიის ენაზე ამას მოქნილობას უწოდებენ.

ახალგაზრდობის მიუხედავად, გენშერს მაინც მოუწია მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობა. 1945 წლის აპრილში 18 წლის ყმაწვილი მესანგრეთა პოლკში ჩართეს. ეს ნაწილი გენერალ ვენკის არმის ნარჩენებისგან შედგა და ჰიტლერმა ბერლინის ირგვლივ საბჭოთა გარემოცვის გაწყვეტა დაუსახა მიზნად. ეს ცდა უშედეგოდ დასრულდა და მესანგრეთა პოლკმა განადგურება იმით აიცილა თავიდან, რომ ელბის დასავლეთ ნაპირზე მოახერხა გადასვლა. იქ გენშერი ინგლის-ამერიკის ტყვეობაში მოხვდა. საბედნიეროდ, ფრონტის მსგავსად ტყვეობაც ზანმოკლე გამოდგა და უკვე ზაფხულში გენშერი მშვიდობიანად დაბრუნდა ჰალეში.

— უკვე მაშინ ვგრძნობდი, რომ ომი აღარ უნდა განმეორდეს, იგონებს გენერი. — შემდგომში ამან იქონია გავლენა ჩემს გადაწყვეტილებაზე, პროფესიონალი პოლიტიკოსი გავმხდარიყავი, რათა წარსულის განმეორების თავიდან აცილებაში შემეტანა წვლილი: რომ გერმანიაში აღარ განმეორდეს დემოკრატიის განადგურება, ხოლო ევროპაში — ომი. ეს არის ჩემი პოლიტიკური ფილოსოფია. ამას დავუმატებ სიცოცხლის, როგორც განძის აღქმას. ლიბერალისთვის მთავარია ადამიანი, მისი ღირსება და თავისუფლება.

გარეგნულად საგარეო საქმეთა მინისტრის ცხოვრება კალეიდოსკოპურია. ძნელი დასადგენია, როგორ აბამს იგი თავს გაუთავებელ ვიზიტებს, მოლაპარაკებებს, პარტიულ, კოალიციურ, საპარლამენტო და სხვა სხდომებს, კონფერენციებსა და ფორუმებს, გამოსვლებს, საუბრებს, ინტერვიუებს და ა. შ. მის კაბინეტში არაფერია ზედმეტი — მხოლოდ ბისმარკისა და შტრეზემანის პორტრეტები, რომლებსაც იგი თავის სიმბოლურ მასწავლებლად თვლის. თავის დროზე „რკინის კანცლერიც“ და ვეიმარის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრიც ევროპაზე ზრუნვას და აღმოსავლელ მეზობლებთან კარგ ურთიერთობას ქადაგებდნენ, აღნიშნავს გენშერი. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, როგორ ყალიბდებოდა მისი შეხედულებები საბჭოთა კავშირზე. 45 წლის წინათ იგი ხომ სწორედ საბჭოთა ტანკებს გაეცა და დასავლეთის ტყვეობა არჩია საბჭოთას.

— საგარეო საქმეთა მინისტრის ცხოვრება ისეთია, რომ მას არა აქვს კვეყნის გაცნობის საშუალება. სტატისტიკურად ბევრჯერ ვყოფილვარ საბჭოთა კავშირში, მაგრამ მხოლოდ ორჯერ ლენინგრადში და ერთხელ — კიევში. ამიტომაც ვერ ვიტყვი, რომ საბჭოთა კავშირს ვიცნობ.

გარდა ამისა, გენშერი ამბობს, რომ ყოველთვის უარყოფდა საბჭოთა სისტემას და თავისი შეხედულებები არ შეუცვლია. ახლა კი, დემოკრატიზაციისა და გარდაქმნის პირობებში, უფრო მოსწონს საბჭოთა კავშირი.

— მე ხშირად მოვუწოდებდი დასავლეთს ახალი პოლიტიკური აზროვნებისაკენ. ურთიერთდაკავშირებულ მსოფლიოში არ შეიძლება ისე იყოს, რომ ერთის ქცევა მეორეზე არ მოქმედებდეს. როდესაც სსრ კავშირმა გადაწყვიტა სს-20 რაკეტების განლაგება, რასაც დიდ შეცდომად ვთვლიდი და არაერთხელ მითქვამს ეს მაშინდელი საბჭოთა ხელმძღვანელებისათვის, ჩვენ ამაზე შესაბამისი რეაგირება მოვახდინეთ. ხოლო როდესაც საბჭოთა კავშირმა შეცვალა თავისი საგარეო და საშინაო პოლიტიკა, ესეც არ უნდა დარჩეს დასავლეთის მხრიდან ურეაგირებოდ. მინისტრს მიაჩნია, რომ საბჭოთა კავშირმა უარი თქვა ადრინდელ ექსპანსიონისტურ პოლიტიკაზე და თანამშრომლობისა და სტაბილურობის კურსს დაადგა. თავდაპირველად ჰელსინკის პროცესმა, რომელსაც ყოველთვის ვუჭერდი მხარს, — განაგრძობს იგი, — შესაძლებელი გახადა, ასე ვთქვათ, ორი ევროპის ერთობლივი ცხოვრება. ახლა კი, მორიგი სრულიად ევროპული შეხვედრის მომზადებისას, საქმე ეხება იმას, რომ საფუძველი ჩაეყაროს ერთიან განუყოფელ ევროპას.

... ვცდილ დავუბრუნდეთ გენშერის წარსულს. 1956 წელს ახალგაზრდა ადვოკატი და ლიბერალური პარტიის აქტივისტი ბუნდესტაგში თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფრაქციის საშეცნიერო ასისტენტად მიიწვიეს. აქ მან საპარლამენტო და პარტიულ ბრძოლის მკაცრი სკოლა გაიარა. იმ წლებში გენშერი წარმატებით მიიწევდა წინ პარტიასა და ბუნდესტაგში, მოგვიანებით კი მთავრობაშიც. მან თავი გამოიჩინა, როგორც მოხერხებულმა პოლიტიკოსმა. გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან კოალიციაში მან ამომრჩევლის თავისი პარტია წარუდგინა, როგორც სოციალისტური ექსპერიმენტების“ წინააღმდეგ მიმართული ფარი. ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის-ქრისტიანულ-სოციალური კავშირის კოალიციაში კი — როგორც აღმოსავლეთის ახალი პოლიტიკის გაგრძელების გარანტი.

ჰანს-დიტრიხ გენშერმა ბევრი რამეს მიაღწია პოლიტიკაში, მა-გრამ მისი მოღვაწეობის გვირგვინი, რა თქმა უნდა, გერმანიის გაერთიანებაა. თუმცა, ვინ იცის, ენერგიული და მოქნილი მინისტრისთვის არაფერია შეუძლებელი,

ჰანს-დიტრიხ გენშერი: „სიცოცხლე განძია“



ახდება თუ არა ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველება?

რა არის ასტროლოგია — ყალთაბანდობა თუ მეცნიერება? ჯონ ჰოგი, დასავლეთში გახმაურებული ბესტსელერის — „ნოსტრადამუსი და ოქროს ხანა“ — ავტორი უყოყმანოდ აცხადებს, — მეცნიერებაა. მისი აზრით, მსოფლიო ისტორიის მომავალ მოვლენათა წინასწარმეტყველება, XVI საუკუნის ფრანგ ასტროლოგს მიშელ ნოტრდამს (ნოსტრადამუსს) რომ ეკუთვნის, არც ისე შორს არის ეშმარიტებისაგან და მაშასადამე, მეცნიერული ღირებულება აქვს. იმ დიდ ავტორიტეტთან დაკავშირებით, რომლითაც ჰოგი სარგებლობს თანამედროვე ასტროლოგთა შორის, ინდოეთის ქალაქ პუმის „ოშოს საერთაშორისო ცენტრმა“ მას მიმართა კითხვით, რას უქადის კაცობრიობას სპარსეთის ყურეში ამტყდარი კრიზისი.

„ნოსტრადამუსი წინასწარმეტყველებს, რომ მესამე მსოფლიო ომისაკენ მიმავალ გზაზე კაცობრობამ მაშინ გადადგა ნაბიჯი, როდესაც დაიწყო ამერიკისა და ერაყის ჯარების თავმოყრა ახლო აღმოსავლეთში“, — განაცხადა ჰოგმა ცენტრში გამომავალი „ოშო ტაიმს ინტერნეშნლის“ რედაქციისთვის ტელეფონით მიცემულ ინტერვიუში.

მისი თქმით, 450 წლის წინ ნოსტრადამუსმა უაღრესად ზუსტად წინასწარმეტყველა, რომ ჩვენი საუკუნის 90-იან წლებში დაიწყება მესამე მსოფლიო ომი მაჰმადის ერთ-ერთი უოლოსმძღვი მიმდევარის მოქმედების შედეგად, რომელიც საღვთო ომს გამოუცხადებს ამერიკას, რუსეთსა და ევროპას. ეს მაჰმადიანი მოღვაწე, რომელიც ნოსტრადამუსმა „მაბუსის“ (ბოროტის) სახელით დაშიფრა, მუსლიმანური ფუნდამენტალიზმის ალით გააჩაღებს მსოფლიო ომს, რომელიც 3 წელიწადსა და 7 თვეს გასტანს, და დიდამიწას დაფარავს თქვენად წამოსული ნაცარტუტის ფენით, — თქვა ამერიკელმა ასტროლოგმა.

ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველება, ჯ. ჰოგის თქმით, გულისხმობს ერაყის 27 წლის მანძილზე ყოფნას ომის მდგომარეობაში. აგრესიული „მაჰმადის მიმდევრის“ მოქმედების ასალგამავად ამერიკის შეერთებული შტატები და სსრ კავშირი გამოვლენ სამოკავშირეო პოზიციებიდან, მაგრამ მათი ალიანსი დაიშლება 1995 წელს, მიაჩნია ჰოგს.

ამასთან ჰოგმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ნოსტრადამუსის იმ წინასწარმეტყველებას, რომელიც გვაფრთხილებს, „უზარმაზარი ფლოტი გაქრებაო“. ასტროლოგის აზრით, ეს გულისხმობს ერაყის ბირთვულ თავდასხმას სპარსეთის ყურისა და ხმელთაშუა ზღვის რაიონში თავმოყრილ მრავალეროვან სამხედრო-საზღვაო ძალებზე.

ნოსტრადამუსის კლასიკური შრომის „საუკუნეების“ 44-ე კატრენში (ტაეპში) იგი აფრთხილებს მაფრთხე მომდინარეობს ანადრამადან, რომლის თანამედროვე გაშიფრვა იძლევა ბაღდადის მახლობლად მდებარე ერაყის ბირთვული ცენტრის, სწორედ იმ ცენტრის სახელწოდებას, რამდენიმე წლის წინ რომ დაბომბა ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებმა. ეს ფაქტი, ამბობს ჯ. ჰოგი, უნდა მივიჩნიოთ იმის მომასწავებლად, რომ შესაძლოა ერაყს ჰქონდეს ბირთვული იარაღი.

ამერიკელმა ასტროლოგმა აღნიშნა, რომ ერაყის მოქმედების სცენარი შესაძლოა დეტალურად ცოტათი განსხვავდებოდეს ნაწინასწარმეტყველებისაგან, მაგრამ ბირთვული ომი მისი ინიციატივით ამ საუკუნის ბოლომდე დაიწყებაო, „მაგალითად, თუ ერაყი უახლოესი ექვსი თვის მანძილზე დამარცხდება ტოტალურ ომში, ეს მხოლოდ შეჩქნის რამდენიმე წლის შემდეგ დასავლეთის წინააღმდეგ პანარაბული აჯანყების პოტენციალს“, — ხაზგასმულია ინტერვიუში.

„უდავოა ისიც, რომ ნოსტრადამუსის ყველა წინასწარმეტყველება გვაფრთხილებს: უახლოესი ათი წელი მსოფლიო ისტორიაში ყველაზე საშიში იქნებაო“, — დასძენს დასასრულ ჯ. ჰოგი.

ამრიგად, ნოსტრადამუსი და მასთან ერთად ვაშინგტონელი ასტროლოგი კაცობრიობის შავბნელ უახლოეს მომავალს გვიწინასწარმეტყველებენ. ჩვენ გადაგწყვეტეთ გაგვეცნო მკითხველისათვის იგი როგორც ერთ-ერთი მრავალ თვალსაზრისთაგან იმ ფრიად რთული ვითარების შემდგომი განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებით, სპარსეთის ყურეში რომ შეიქმნა ბაღდადის აგრესიის შედეგად. აზიის სახელმწიფოების რეაქცია მოწმობს, რომ კონტინენტის ქვეყნებში შეშფოთებით აღიქვამენ თვალს სპარსეთის ყურის ამბებს და იღვწიან მათი უსწრაფესი ნორმალიზაციისათვის. ჩვენ ნოსტრადამუსისა და ჯ. ჰოგის წარად ისე ვერ გავკადნიერდებით, რომ განვაცხადოთ ამ ამბების შემდგომი მიმდინარეობა, მაგრამ შევნიშნავთ, რომ წარმოშობილი კრიზისის უსწრაფესი მოგვარება საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ უაღრესად სერიოზული შედეგები მთელი კაცობრიობისათვის. უდავოა, მას არ სურს დაიღუპოს ბირთვულ ომში არც მიმდინარე საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში და არც უფრო გვიან, მიუხედავად იმისა, რომ ეს უარყოფს ნოსტრადამუსისა და მისი პატივცემული თანამედროვე მკვლევარების წინასწარმეტყველებას.

სამედიცინო მიკრორობოტები

ჩვეულ სკალპელს ქირურგის ხელში მალე შეცვლის პორტატული მართვის პულტი. მისი დახმარებით ექიმი ბრძანებებს მისცემს რობოტებს, რომლებიც გააკეთებენ ოპერაციებს, მათ შორის ძალზე რთულსაც. ასე მიაჩნიათ იაპონიის ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ინდუსტრიული სამეცნიერო-ტექნიკური საგენტოს სპეციალისტებს, რომლებიც უნივერსალურ სამედიცინო მიკრორობოტებს ამუშავებენ.

მუხუდოს მარცვლის ზომის რობოტები ქსოვილების დაუზიანებლად სისხლძარღვების, ნაწლავების და სხვა გზების მეშვეობით მიაღწევენ დაავადებულ ორგანოს, დასვამენ ზუსტ დიაგნოზს და საჭიროებისამებრ სამედიცინო ზემოქმედებას მოახდენენ. მედიკოსთა აზრით, ამ შემთხვევაში შესაძლებელი გახდება არა მარტო ოპერაციების თავიდან აცილება, არამედ საერთო ნარკოზზე უარის თქმაც და ადგილობრივით შემოფარგვლა. რობოტებს ასევე გამოიყენებენ ხელოვნური ორგანოების ნაწილებისა და მექანიზმების შესაცვლელად.

10 წლისათვის გამიზნული პროგრამის განხორციელების დაწყებას იაპონელები უკვე გაისად ვარაუდობენ. წინასწარი გაანგარიშებით, მის განხორციელებას ოცი მილიარდი იენი დასჭირდება. პროექტები ორი ტიპის მიკრორობოტების შემუშავებას ითვალისწინებს. „სმართ ფილ“ ფორმით წაგრძელებული ბურთულის მსგავსი იქნება, „ქეთ თეილ“ — კი მინიატურული ცილინდრი უწვრილესი კაბელით, რომლითაც გადაიცემა ბრძანებები.

ფოტოინფორმაცია



ამ „ავიაკონფუზის“ ხილვა შეიძლება ბაზელის აეროპორტ „მიულჰაუზში“. თუმცა, მისი ავტორები გადაღებულს საკმაოდ უჩვეულოდ ხსნიან. ისინი ამბობენ, რომ მოცემული ანგარი რამდენიმე ათეული წლის წინათ აშენდა და იმ დროის თვითმფრინავებისათვის იყო განკუთვნილი. კომპოზიციის ავტორების აზრით, თანამედროვე ავიალაინერის გარეთ დარჩენილი კუდი ხაზს უსვამს საკვიაციო ტექნიკის პროგრამებს.

კეისტონ-საკდესის ფოტო.

„ტურ დე სოლ“ („მზისადმი მიძღვნილი“) — ასე ეწოდება ამას წინათ შვეიცარიაში გამართულ ტრადიციულ შეჯიბრებას სატრანსპორტო საშუალებებით, რომლებიც „ზის ბატარეებზე მუშაობენ. ამ პრესტიჟულ მზის რალიში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ ფირმასა და მსურველს. გაბარჯვებული ხდება არა ყველაზე სწრაფი არამედ „ეკონომიური და გამძლე“ ეკიპაჟი, ე. ი. ის, ვინც ყველაზე მეტი მანძილი დატარა ენერგიის მინიმალური ხარჯით.

სურათზე: გდრ-ის სპორტსმენები ფირმა „ტრაბანტის“ სამამულო მანქანით, რომლებიც პირველად მონაწილეობდნენ შეჯიბრებაში.

კეისტონ-საკდესის ფოტო.

„ნიუ-იორკ პოსტი“ კარპოვის შესახებ

შვიდი წელიწადია საჭადრაკო სამყარო ადარებს ერთმანეთს ორ უძლიერეს მოთამაშეს. როგორც წესი, წარმოადგენენ მიმზიდველ გარი კასპაროვს, რომელიც დავასა და ჭორებს ინვევს, და მასთან კონტრასტით უფერულ ანატოლი კარპოვს, სცენას რომ ტოვებს.

კასპაროვის ყოველი ახალი ნაბიჯი, მაგალითად, საკუთარი პოლიტიკური პარტიის შექმნა და საჭადრაკო ფედერაციასთან ბრძოლა, თითქოს ადასტურებს ამგვარ შედარებას.

სინამდვილეში კარპოვი თანდათანობით სულ უფრო და უფრო გულახდილად საუბრობს, მაგრამ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები კასპაროვისადმი სიმპათიის გამო თითქმის უყურადღებოდ ტოვებენ ამ გამონათქვამებს.

მაგალითად, მსოფლიო ჩემპიონმა ბოლო ორ წელიწადში ფართო ყურადღება მიიპყრო საბჭოთა საჭადრაკო ფედერაციის წინააღმდეგ და იმისთვის ბრძოლით, რომ მიიღოს ანაზღაურების უფრო სამართლიანი წილი, რომელსაც მთავრობა ხშირად ართმევს თავის სპორტსმენებს.

მაგრამ ჯერ კიდევ 1987 წელს სწორედ კარპოვმა განაცხადა, რომ ანაზღაურების დიდი ნაწილი — საბჭოთა ორგანიზატორები დაბრდნენ, ეს საშუალებები ჩერნობილის მსხვერპლთ მოხმარდებაო — საბოლოოდ, როგორც ყოველთვის, მთავრობის ანგარიშზე აღმოჩნდა.

ესპანელი ჟურნალისტისათვის ამას წინათ მიცემული ინტერვიუ ნათელს პუნქს კარპოვის შეხედულებებს პოლიტიკასა და ჭადრაკზე.

ყოფილი მსოფლიოს ჩემპიონი, რომელიც სახალხო დეპუტატად აირჩიეს, თავის თავს მიხეილ გორბაჩოვის ზომიერ მომხრეს უწოდებს.

თუმცა კასპაროვი თავის ძველ მეტოქეს კრემლის მარიონეტად ნარმოგვიდგენს, კარპოვი აკრიტიკებდა თავისი ქვეყნის „კატასტროფულ ეკონომიკურ სიტუაციას“, რომელშიც ყველა მნიშვნელოვანი საკითხი მოსკოვის ბრძანებით წყდება.

კარპოვს ასევე სურს, რომ საბჭოთა პრეზიდენტს ხალხი ირჩევდეს, როგორც ეს შეერთებულ შტატებში ხდება.

მას ეკუთვნის რამდენიმე საინტერესო გამონათქვამი ჭადრაკზე. პრეტენდენტთა მატჩში ტიმანის დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ჩემს ბანაკში „გამცემი“ არ ჰყავდათო.

მაგრამ კარპოვი ამტკიცებდა, რომ [illegible] მატჩის წინ მისი ერთ-ერთი თანაშემწე, ალექსანდრე ბელიავსკი, მეორე ბანაკში გადავიდა და მის მეტოქეს არტურ იუსუპოვს ამზადებდა.

კარპოვმა ასევე თქვა, რომ მალე აპირებს წიგნის გამოცემას, რომელშიც იქნება „პასუხი“ კასპაროვის შესახებ.

დასვენებას ყველა თავისი გემოვნების მიხედვით ირჩევს. სანამ ზოგიერთები ზღვის ქვიშიან პლაჟებზე იხვენებენ, ამ საზოგადოებამ მზის აბაზანების მიღება არჩია... თოვლზე, შვეიცარიის ალპებში, ცნობილი მწვერვალის მატერჰორნის მახლობლად.

კეისტონ-საკდესის ფოტო.

„მის ამერიკა-90“

ზედიზედ მეორედ და სილამაზის კონკურსის „მის ამერიკას“ ჩატარების ისტორიაში მეოთხედ მისი გამარჯვებული გახდა შავკანიანი ამერიკელი. ფინალური წარმოდგენის დროს, რომელიც ქალაქ ატლანტიკ-სიტიში (ნიუ-ჯერსის შტატი) შაბათს, 8 სექტემბერს გაიმართა, ყველაზე მიმზიდველ და მომხიბლავ ამერიკელ ქალად აღიარეს ახლა უკვე ყოფილი „მის ილინოისი“, დიუკის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი მარჯორი ჯუდიტ ვინსენტი. პირველი ადგილისათვის მან მიიღო 36 ათასი დოლარი. მას მოუხდება სწავლის შეწყვეტა ერთი წლით, რათა ახალ ვალდებულებებს დაუთმოს დრო, რომლებიც ითვალისწინებს სხვადასხვა საქველმოქმედო, კომერციულ და წარმომადგენლობით დონისძიებებში მონაწილეობას როგორც ამერიკაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. მსგავსი ვალდებულებების შესრულებისას მისმა წინამორბედმა 200 ათას დოლარზე მეტი „სუფთა“ მოგება ნახა.

კონკურსის ზოგიერთმა მონაწილემ (მასში 18-დან 26 წლამდე ასაკის ამერიკელი ქალები დაიშვებიან) დიდი პირადი ტრაგედია გადაიტანა, სანამ საპატიო გვირგვინისათვის ბრძოლაში ჩაებმებოდა. „მის ტექსასი“ შარშან კიბოს გადაურჩა და იმ საანდალისგან მოეგო გონს, რომელშიც მის შტატში სილამაზის კონკურსის მთავარი ორგანიზატორი აღმოჩნდა გახვეული. „მის სამხრეთ კაროლინამ“ ოთხი ოპერაცია გაიკეთა.

კონკურსის მრავალ მოყვარულს — მას კი ტელევიზიით თვალს ადევნებდა 60 მილიონი მაყურებელი — სიხარული მოუტანა ცნობილი ბერტ პარკსის დაბრუნებამ, რომელიც ამერიკის სილამაზის კონკურსის უცვლელი წამყვანია ბოლო 25 წლის განმავლობაში. 1980 წელს კონკურსის ორგანიზატორებმა უარი თქვეს 65 წლის პარკსზე იმ საბაბით, თითქოს იგი ძალზე მოხუცია.

სტუმრებს შორის საპატიო ადგილი ეკავათ ამ კონკურსების წინა წლებში გამარჯვებულებს. მათი უმრავლესობა ვერ გახდა კინოვარსკვლავი ან სუპერმოდელი, და მათი სახეები დროდადრო გაიელვებს ხოლმე პოპულარული ჟურნალების გარეკანზე. ბევრი ახლა ექიმად, პედაგოგად, ჟურნალისტად მუშაობს. გათხოვდნენ. ჰყავთ შვილები. ყველაფერი ეს მათ უამბეს ტელემაყურებელს. ეს შემთხვევითი არ არის. კონკურსის ორგანიზატორებს მიაჩნიათ, რომ მისი მიზანია ახალგაზრდა ამერიკელი ქალის თავისებური „იდეალის“ ჩამოყალიბება, რომელიც შიმზიდველ გარეგნობასთან ერთად მოქნილი გონებით და ღრმა ცოდნით გამოირჩევა, აქვს საშემსრულებლო ნიჭი, იუმორის გრძნობა და სხვა დადებითი თვისებები.

ამასთან დაკავშირებით კონკურსში ერთი „სიახლე“ იყო. თუ ადრე კონკურსის მომწყობნი მოწყენილთა თეძოების, მკერდისა და წელის ზომებს აქცევდნენ ყურადღებას, ახლა ეს მონაცემები არ ქვეყნდებოდა. აქცენტი გადატანილია ლამაზმანთა სულიერ სამყაროზე, მათ ინტელექტზე.

ანტიკონსტიტუციურ მოქმედებას ხმების უმრავლესობით ვერ დაიცავ

სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს განზრახვის გამო

ერთ წელზე მეტია გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ მუდმივი მკითხველი ვარ. ამ გაზეთის 1990 წლის 14 აგვისტოს ნომერში გაკვირვებით გავეცანი 10 აგვისტოს მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს მეცამეტე სესიის მიერ პირველი წაკითხვით მიღებულ „დეკლარაციას სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ“.

ვფლობ შემდგომ ვნახავდი პირველი წაკითხვის მსვლელობის დაწვრილებით სტენოგრაფიულ ჩანაწერს თუ არა, განხილვის ზოგად მიმოხილვას მაინც. ეს არ გამარტლდა. ყველაფრიდან სჩანდა სიჩქარე მის მიღებაში, ვინაიდან როგორც ოფიციალურ ცნობაშია აღნიშნული, მხოლოდ „ამ საკითხის განხილვის დროს დეპუტატთა ჯგუფმა შეიტანა წინადადება წაკითხა დეკლარაციის პროექტის ტექსტი“, რომელიც იქვე პირველი წაკითხვით დაუყოვნებლივ მიიღეს.

შემდეგ, ერთადერთი, რაც საზოგადოდ დეკლარაციის ირგვლივ „საბჭოთა ოსეთში“ ვნახე, გახლდათ იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ვ. მარგიევის უაღრესად კომპეტენტური სტატია „რას ნიშნავს სუვერენიტეტი?“

ჩვენ არ ვიცით დეკლარაციის ცხინვალელ შემოქმედთა ვინაობა, მაგრამ ერთი კი უდავოა. მათ თავი სრულიადაც არ შეუწუხებიათ პრობლემის იურიდიულ დეტალებში გარკვევით: ადგენენ და პირდაპირ გადმოწერეს პუნქტები რიგი მოკავშირე რესპუბლიკების მიერ მიღებული დეკლარაციებისა სახელმწიფოს სუვერენიტეტის შესახებ, განსაკუთრებით კი უკრაინისა და ბელორუსიის რესპუბლიკებისა. როგორც სჩანს, მათ ამ დროს ისიც ნიბლავდათ, რომ ეს რესპუბლიკები უკვე აერიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები. ცხინვალელ სამართალშემოქმედთ განსაკუთრებით სიბრძნეთ ოსეთის საერთაშორისო სამართალსუბიექტობა იზიდავთ და ამიტომაც ისინი მიზანშეწონილად თვლიან გლობალურ საკითხებზეც გამოთქვან თავიანთი პოზიცია. ასე, სამხრეთ ოსეთი ცნობს „საერთო საკაცობრიო ღირებულებათა უპირატესობას კლასობრივზე.“ აქ მართლაც არის ლოგიკა. თუ უკრაინის რესპუბლიკამ გაკეთა ეს თავის დეკლარაციაში, რატომ არ უნდა გაკეთოს იგი სამხრეთ ოსეთის სუვერენულმა სახელმწიფომ, რომლის ნამდვილი სახელწოდება დეკლარაციის შემქმნელებმა ჯერჯერობით დაგვიმალეს.

მოკავშირე რესპუბლიკების მიერ მიღებული დეკლარაციები უკლებლივ ყველა არსებული კონსტიტუციური წყობის საერთო ფარგლებშია; ცხინვალელ სამართალშემოქმედთა მთელი შედეგი კი — ძირეულად ეწინააღმდეგება მთელს კონსტიტუციურ წყობას, ამასთან ისინი ცდილობენ დაფარონ თავიანთი მიზანსწრაფვა. დეკლარაციის სახელწოდებიდან არ ჩანს ვინაა სახელმწიფო სუვერენიტეტის მფლობელი სამართალსუბიექტი: ესაა დამოუკიდებელი სახელმწიფო, მოკავშირე რესპუბლიკა თუ ავტონომიური რესპუბლიკა; წაკითხეთ და გაიგეთ: ესაა „სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტი“. დეკლარაციის შინაარსით კი მისი უფლებამოქმედნარინობა აფერით განსხვავდება მოკავშირე რესპუბლიკის სამართალსუბიექტობისაგან.

ცხინვალელ პლაგიატორებს უკრაინისა თუ ბელორუსის დეკლარაციების გადმოწერის დროს სრულიად შეუმჩნეველი დარჩათ, რომ ისინი შეურიგებელ კონფლიქტში აღმოჩნდენ სსრ კავშირის კონსტიტუციასთან და საერთო საკავშირო კანონმდებლობასთან, რომელთა ერთგულებას დეკლარაციის ტექსტში არაერთგზის გვფიცებიან, ასე, დეკლარაციის მეოთხე კარი სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობას ეხება, მაგრამ ყველაფერი ეს ეწინააღმდეგება არა მარტო 1977 წელს მიღებულ სსრ კავშირის კონსტიტუციას, არამედ სულ ახლახან, 23 მაისს მიღებულ კანონს „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ“, რომლითაც უარყოფილია ავტონომიური ოლქების დამოუკიდებელი სახელმწიფო, მოკავშირე რესპუბლიკა თუ ავტონომიური რესპუბლიკა; წაკითხეთ და გაიგეთ: ესაა „სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტი“. დეკლარაციის შინაარსით კი მისი უფლებამოქმედნარინობა აფერით განსხვავდება მოკავშირე რესპუბლიკის სამართალსუბიექტობისაგან.

ესაა დეკლარაციის მერვე კარის ბოლო ნაწილით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ქართული ენისათვის სახელმწიფო ენის სტატუსის ჩამორთმევა და მისი ჩამოქვეითება ოფიციალურ ენად, მაშინ როცა ოსური ენას ერთიც აქვს და მეორეც.

დეკლარაციის მეათე კარის ბოლო ნაწილიც ორგანიალური სამართალშემოქმედების ნაყოფია. აქ ლაპარაკია სამხრეთ ოსეთის განსაკუთრებულ ურთიერთობაზე ჩრდილოეთ ოსეთთან. „ეს ურთიერთობები ეფუძნება სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის კულტურული და ეკონომიკური ინტეგრაციის პრიორიტეტს“.

აქ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ეკონომიკური ინტეგრაციის პრიორიტეტი სამხრეთ ოსეთისათვის მით უფრო სასიცოცხლოდ აუცილებელია ქართლისა და კახეთის მიმდებარე რაიონებთან, თუნდაც იმიტომ, რომ იქ 100 ათასამდე ოსი მოსახლეობაა. ოსების უმრავლესობამ აქ უშუალოდ ქართველთა მხარდამხარ ამოირჩია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და არც შემცდარა ამაში. ისინი მარტო სამხრეთ ოსეთის მფარველობისა და პატრონობის მოიმედენი არც ადრე ყოფილან და არც ახლა არიან. ასე რომ იყოს, ვერაფრით ახსნით იმას, რომ უკანასკნელი 60 წლის მანძილზე 23-ჯერ გაიზარდა თბილისში მცხოვრებ ოსთა რაოდენობა და იგი ცხინვალში მცხოვრებ ოსთა რაოდენობას ოდენ ერთ-ერთ ოსეთ-ინგილოეთ-ოსეთ-ინგილოეთ-ოსეთ-ინგილოეთ-

კულტურა

პოეტის ახალი კრებული

„ქარში გაფანტული დღეები“

...ითხ ათეულ წელზე მეტია, ნა-...ოვერ შემოქმედებით ცხოვრე-...ს ეწევა დავით ხუროძე. იგი ...ოსში მოღვაწეობს და თავი-... მოკრძალებული წვლილი ...ეს მრავალსაუკუნოვანი ქა-...ული ლიტერატურის საგა-...ში. წერს ლექსებს, ნოვ-...ებს, პიესებს, მხატვრულ ნარ-...ებსა და იუმორისტულ ნაწა-...ებებს. განსაკუთრებული ინ-...ერესითა და რუდუნებით მუშა-...ობს საბავშვო ლიტერატურის და-...ზე. მისი საბავშვო ლექსები ...ეგანილია „დედიენაში“, კლასგა-...ეშე. საკითხავ ლიტერატურაში. ...ლექსებზე შექმნილია სიმღე-...ები.

...პოეტის შემოქმედებას ასაზრდ-...ოს თანამედროვეობა, ეროვნუ-...ლ მოტივები. აფიქრებს სამშობლ-...ოს წარსულიც და მომავალიც, ...ატომის საუკუნეში ადამიანის ...ბედი.

ახლახან გამომცემლობა „საბჭ-...ოთა საქართველოს“ ქუთაისის ფი-...ლიალმა დასტამბა დავით ხუროძ-...ის ახალი ლირიკული ლექსების ...კრებული „ქარში გაფანტული ...დღეები“. აქ არის მისი და სხვისი ...ადამიანური ტკივილი, სინანული, ...საკუთარ თავთან ჰიდილი, უეცა-...რი აღმფრენა და სიხარული. ...ჩუმად დაღვრილი ცრემლებიც...

„ქარი მკითხველი საშვალო ...მწერალზე ნაკლები როდიაო“, — ...გვეუბნება წიგნის წინათქმაში ...პოეტი და სწორედ მკითხველს ან-...დობს მისი შემოქმედების ობიე-...ქტურ მსჯავრსა და შეფასებას.

...გთავაზობთ რამდენიმე ლექსს ...ამ კრებულიდან.

დავით ხუროძე

კიდევაც დაიზრდებიან

მერაბ ბერძენიშვილს

...როგორც სინათლე ორთავე თვალის,
...ოგანან, უჭირავთ მახვილი რვალის,
...როგორც მამულის ფარი და ხმალი,
...ით ძლიერება, სიმშვიდე ხვალის,
...ადასახდელი სამშობლოს ვალი,
...ვიან ცხვებოდა ობლების ყვერი,
...ეგვმატებია ორი ბოკვერი.

...ნარსული მოჰგავს მთვლემარე უნასს,
...ერცერთს სიმძიმე წელში ვერ ღუნავს,
...ს ისტორიის მძიმე კარს აღებს,
...როგორც სიცოცხლეს, ბევრჯერ განაღებს,
...ასე დაძაგრულ ალგეთელ ბალღებს
...თითქოს აკვნიდან შეკრულებს ფიცით,
...ურთ დაგვაჯერონ, გვარზე ხტის კვიცი...

ჩვენმა გელათის მონასტერში

...როცა მტერი კავკასიას მოადგა, წინაპართა აჩრდილებიც ლოცულობდნენ საქართველოსათვის

...ორთავ მუხლზე დაჩოქილი, როგორც შველი,
...ამომდგარი თითქოს ცრარავ სამარით,
...ხატების წინ ლოცულობდა ფეხშიშველი,
...საქართველოს დედოფალი თამარი.

...ალმოდებულ მინას ენთო ურუანტელი,
...ნაქანდაკარ, ბროლის თითთა შუბებით,
...მის წყნარ მზერას მოსცვივოდა მზის ფანტელი,
...გარეთ მისებრ ჩურჩულებდნენ ვერსვები...

...ნელს რომ ერტყა, ეს არ იყო სხვა სარტყელი,
...ერტყა ზეცის შვიდი ფერის ქამარი,
...ბერდის ღუღუნს გამოსცემდა თეორი ყელი,
...საქართველოს ავედრებდა თამარი...

...ზართა გუგუნს კვლავ ისმენდა მთა და ველი,
...და ლოცვებში იყო ერთი სურვილი,
...ეკვე იდგა სიბრძნის წიგნით რუსთაველი,
...ეუმხელი, დაფარული წყურვილით.

...მთი ლოცვით იხსნებოდნენ გუმბათები,
...და ხატებიც ერთგულებას ფიცავდნენ,
...ორგვლივ იდგნენ დევებივით ლურჯი მთები.
...საქართველოს მზიან დღეებს იცავდნენ.

...ოდეს ლოცვა დაამთავრა დედოფალმა—
...მტრედებივით აფთიქუნდნენ დროშები,
...რვაასი წლის ცა გადახსნა იმ ღმერთქალმა,
...და ტაძარში დარჩა ოქროს ქოშები...

Сройзаг, Соцрзиаг

მინიატიურა

ტყის წყარო

...წყალი!
...ნყალი!
...ყალი!
...ეს ასე გაიძახოდნენ იმ სოფ-...ლის.
...რომელ სოფელში?
...ერთი რაიონის ერთ სოფელში.
...მაინც, რომელ სოფელში?
...იმ სოფლის სახელს სულ არ ...აქვს მნიშვნელობა, რისთვისაც ...გადავწყვეტეთ ამ მინიატურის ...დაწერა, მაგრამ მკითხველს აქვს ...თავისი ცნობისმოყვარეობა. რა-...ც ...ეა, ვიტყვი. იმ სოფელს, სე-...ლ ...ქვია. შეეფერება ეს სახ-...ელი, სერზეა გაშენებული.
...ურეთის მცხოვრებთ ყველა-...ფერ აქვთ.
...ელნო?
...ური!
...რგორი?
...ეგი!
...ურები ამბობდნენ: ღვინ-...ყალი გვირჩევნიაო.
...ტომ?
...ვინოდ გავძლებთ, უწყლოდ ...ო.
...ორედ ამიტომ ყველას, დი-...და პატარას სიტყვა წყალი ...ენაზე.
...სერეთს იქით მაღლობი იწ-...ოდა. მერე კიდევ უფრო მაღლ-... და მაღლდება, ბოლოს მთა ...ერთვება. აბა, იქ ვინ იცხ-...ოს! ადამიანის ფეხი თუ ...ბეგმება იშვიათად. იგი სულ ...არის დაფარული, უსიერი ...ბარავინ იცოდა, ტყის გა-...ოიდევ რა იყო იმ მიდამო-...ბობდნენ: რა უნდა იყოს, ...ერის და ტყეო!
...შეუსწავლელი იყო ის მა-...ალი მიდამო. ისე კი, იმ ...ში იმაზეც კი ლაპარაკობ-...ამერიკაში რამდენი მდი-...ა, რომელია უგრძესი, იმას-...ახელებდნენ.
...აფერს თავისი დრო აქვს.
...ერო ერთ სერეთელ ახალგ-...აცსაც დაუდგა.
...ეკვა: მოდი, ამ ტყის ში-...ვიხედოო.
...ა მოუწონა ეს აზრი. ზო-...ეხრა: საქმე ხომ არ შემო-...ო?

პასუხი:
თქვენ რაც გინდათ თქვით! ჩემმა წისქვილმა კი ფქვასო!
ერთ დღეს იგი შევიდა იმ უს-იერ ტყეში.
შევიდა თუ არა, ოქრო არ აღ-მოაჩინოსო, დასცინა ზოგმა.
ის დილით წავიდა, საღამოს დაბრუნდა.
შემოესივნენ მეზობლები:
— თაყვა, რა ნახე, რა აღმოა-ჩინე?
— ოქრო ხომ არა?
—ჩვენთვის ოქროზე ძვირფასი.
— მაინც?
— წყალი! უხვწყლიანი წყარო!
— იქაური წყარო ჩვენ რას გვარგებს?
— გავისარჯოთ და გამოვიყვა-ნოთ!
ჩაფიქრდნენ.
გადახედეს ერთმანეთს.
ისინი ჯერ უხმოდ, თვალებით კითხულობდნენ: რა ვქნათ?
მერე რამდენიმემ წარმოთქვა:
— გამოვიყვანოთ!
ამათ სხვებიც აჰყვნენ.
მაგრამ განა ყველა ერთი ჭკუისა არის. აღმოჩნდა ერთი ისეთი ვინმეც, რომელმაც თქვა:
— მაგ ტყეში მუშაობას მირჩე-ვნია წყალი სულ არ ვნახო.
კიდევ კარგი, ასეთი მოწინააღ-მდეგე ბევრი არ იყო.
გადაწყდა წყლის გამოყვანა.
ის არც ერთ დღეს დამთავრე-ბულა და არც ორ დღეს, ისინი იმ ტყეში თითქმის ერთ თვეს მუშაობდნენ.
და აი, დადგა ნანატრი დღე.
ტყის წყაროს წყალი, სუფთა, ანკარა, სოფელში მოვიდა.
მთელი სოფელი მოგროვდა იქ.
ისიც მოვიდა დოქით, რომელ-იც წნახაღმდეგი იყო ამ კარგი საქმისა.
თაყვამ მას უთხრა:
— დარწმუნებული ვარ, შენ მიხვდი, სხვაც უნდა მიხვდეს, რომ უმრავლესობას გვერდში ამ-ოდგომა ესაჭიროება!

ლავრენტი ჟიჟინაძე.

თერგდალეულები. სახელით შევიდნენ ისტორიაში XIX საუ-კუნის სამოციანი წლების გამო-ჩენილი ქართველი მამულიშვილე-ბი, ეროვნულ-განმათავისუფლე-ბელი მოძრაობის მესვეურნი — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები. მათ დიდი ამაგი დასდეს ქართული ეროვნული თვითშეგნების გამო-ფხიზლების საქმეს. სამოციანე-ლებში იყო ახალი, შეურიგებელი, მებრძოლი სულისკვეთება. ეს იყო რაზმი გონებანათელი მშობლი-ური მიწისა და ხალხის სეყვარუ-ლით ანთებული ახალგაზრდობი-სა, რომელთაც ღრმად შეიწოვეს მაშინდელი მსოფლიოს ყველაზე მოწინავე იდეები და სიტყვითა და საქმით წინ აღუდგნენ საზოგა-დოებრივ-სოციალურ სიმახინ-ჯეს, დამპყრობლურ-შოვინისტურ უსამართლობას.

ჩვენ თერგდალეულთა ორი დი-დი წარმომადგენლის აკაკი წე-რეთელისა და ნიკო ნიკოლაძის ურთიერთობას შევეხებით მხო-ლოდ. ილია ჭავჭავაძესთან ერთად ისინი იყვნენ XIX საუკუნის 60-70-იანი წლების ეროვნული მოძ-რაობის გეზისა და ტონის მიმ-ცემნი.

აკაკისა და ნიკოს მეგობრობა ქუთაისის გიმნაზიიდან იწყება. ისინი სხვადასხვა წოდებიდან და წრიდან იყვნენ, მაგრამ გულმა გული იცნო, შეიყვარეს და შეი-თვისეს ერთმანეთი. გიმნაზიაში დაწყებული მეგობრობა შემდეგ პეტერბურგში გაგრძელდა, სადაც ერთად განაგრძეს სწავლა.

1861 წელს პეტერბურგში 30-მდე ქართველი სტუდენტია. ისი-ნი ხშირად იკრიბებიან ერთად და კამათობენ პოლიტიკურ და სო-ციალურ საკითხებზე, ნიკოს სი-ტყვებით, ამ ახალგაზრდობას „აგ-ონდებოდა, რომ ერთი თვის სა-ვალზე, მთებს გადაღმა, სამშობ-ლოში ცხოვრობს მისი ხალხი, რომ ამ ხალხს ცხოვრება უჭირს მის სამშობლოში, მის საკუთარ მიმართულებას ბევრი მტერი და მუხანათი ჰყავს, რომ ამ მტერს და მუხანათს იმან ოდესმე ანგარი-ში უნდა გაუწიოს“.

უნივერსიტეტში აკაკის განსა-კუთრებით ახლო მეგობრობა და ურთიერთობა ნიკო ნიკოლაძესა და კირილე ლორთქიფანიძესთან ჰქონდა.

1912 წელს აკაკი ნიკოს სწერდა: „მხოლოდ ორი მამხნევებდა მე განსაცდელში ჩავარდნილს და მი-რჩევდა წერას თავი არ დაანე-ბოო... ამ ორთაგან ერთი შენ იყა-ვი და მეორე კირილე ლორთქი-ფანიძე. თუ თქვენ არა, მაშინ შე-იძლება არა მარტო მწერლობი-სათვის დამენებებია თავი, ჩემი თავისთვისაც ამეტეხა რამე“.

1861 წლის 12 ოქტომბერს სტუდენტთა არეულობასთან და-კავშირებით სხვებთან ერთად დააპატიმრეს ნიკო ნიკოლაძე. აკა-კი გადარჩა დაპატიმრებას, მაგ-რამ ეს სრულიადაც არ ნიშნავ-და იმას, რომ გამოეთიშა მეგობ-რებს. კრონშტადტის ციხიდან გამოსული ნიკო ნიკოლაძე თავის ყველაზე საიმედო მეგობარს — აკაკის მიაკითხავს და მის ბინაზე ცხოვრობს არალეგალურად.

რამდენიმე ხნის შემდეგ „რუ-სეთიდან ახლად დაბრუნებული მე-გობრები აკაკი და ნიკო ნიკოლა-ძე ისევ რიონის პირად გაჩნდნენ, ერთი — ნევის ნაპირებიდან გამოძევებული „ბუნტარი“, მეო-რე კი „დინჯად სწავლა დამთავ-რებული „კანდიდატი“. ხუმრობით იგონებს აკაკი იმ პერიოდს.

60-იანი წლების ბოლოსათვის თერგდალეულები დაქსაქსულნი არიან — ილია დუშეთს, ნიკო — საზღვარგარეთ, კირილე — პე-ტერბურგში, აკაკი მარტოდმარ-ტოა ქუთაისში. „სულიერ საზრ-დოს, სულიერ თანაგრძნობას“ ისევ ნიკოლაძეების ოჯახში პოუ-ლობს.

1866 წლიდან გაზეთ „დროე-ბის“ დაარსების დღიდან, ამ გა-ზეთის ძირითადი თანამშრომელი ნიკოსთან ერთად იყო აკაკი. 1869 წელს კი გაზეთ „დროების“, „ჟურ-ნალ „კრებულის“ გარშემო გაერ-თიანდა ახალგაზრდობის ჯგუფი— ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მეს-ხი, კ. ლორთქიფანიძე. და პ. უმი-კაშვილი. მალე ნ. ნიკოლაძის წი-ნადადებით მათ შეუერთდა აკა-კი წერეთელიც, აქაც აკაკი ნი-კოსთან ერთად ეწეოდა ჭაპანს.

ნიკო ბევრს ეცადა, რომ აკა-კი ქუთაისიდან თბილისს გადაეყ-ვანა ჟურნალ-გაზეთების რედაქ-ციებში სამუშაოდ. ჰპირდებოდა ბინას და თავის ჯიბის ფულითაც ეხმარებოდა. დიდი ხვეწნის შემ-დეგ დაიყოლია, მაგრამ თბილის-ში აკაკი დიდხანს არ დარჩენილა. შემდეგაც ნიკო ყოველთვის ცდი-ლობდა აკაკი გვერდით ჰყოლო-და.

ასეთი ურთიერთობა აკაკისა და ნიკოს ურთიერთსიყვარულისა და მეგობრობის შედეგი იყო. ხშირად არ ეთანხმებოდნენ ერთ-მანეთს, მაგრამ ერთიმეორის რწმე-ნა და იმედი ყოველთვის ჰქონდათ. „ამ რწმენით აიხსნება ჩემი და ნიკოლაძის მაშინდელი მტერ-მოყვრული განწყობილებაო“ — წერდა აკაკი მოგვიანებით.

1873 წელს, მას შემდეგ, რაც აკაკი „დროებას“ და კერძოდ ს. მესხს გაებუტა, მესხისავე სი-ტყვით, იგი ნიკომ მოალბო და დაამშვიდა და ისევ დაიწყებინა წერა „დროებაში“.

1876 წელს, როცა მეფის მთავ-რობა სასტიკად გაუსწორდა თა-ვისუფლებისათვის მებრძოლ სვანებს, აკაკი და ნიკო ილიასა და სერგეი მესხთან ერთად გამო-ვიდნენ სვანების დასაცავად და გააკრიტიკეს მეფის კოლონიუ-რი პოლიტიკა. აქაც ჩვენი გა-მოჩენილი მოღვაწეები — ერ-ოვნულ-განმათავისუფლებელი მო-ძრაობის მედროშენი თავიანთ სა-გუშაგოზე დგანან მხარდამხარ და წმინდად იხდიან ვალს ხალხის და სამშობლოს წინაშე.

1878 წელს ნიკო თბილისში აარსებს გაზეთ „ობზორს“. მის დაარსებაში აკაკისაც თავისებუ-რი წვლილი მიუძღოდა და თანა-მშრომლობდა კიდეც გაზეთში. აი, რას სწერდა ნიკო 1877 წლის 1 დეკემბერს პეტერბურგში მყოფ აკაკის: „შენ კარგად გახსოვს, რა-ნაირად მირჩევდი ამ საქმის დაწ-ყებას. ეხლა უნდა გითხრა, რომ ამ საქმეში შენი დახმარების იმე-დი ყოველთვის მქონდა და მაქვს. შენ იცი როგორ ამისრულებ ამ იმედს... როგორ გამიმაგრებ მხარ-სა და ზურგს. ამ საქმისათვის შენ უნდა აქ ჩამოხვიდე... გაათა-ვე შენი საქმე. და, რაც შეიძ-ლება მალე წამოდი... თუ ძმა ხარ, ნუ დაიზარებ, ნუ დაივი-წყებ საჭიროებას, ნუ გადადებ საქმეს“... აღსანიშნავია, რომ ეს ის გაზეთი იყო, რომლის შესახებ 1898 წელს ენენგაში გამოცემულ ერთ ბროშურაში, პლეხანოვი წერ-და: „1878 წელს თბილისში გამო-დიოდა გაზეთი „ობზორი“. ეს ყველაზე უფრო ცოცხალი გამო-ცემაა რუსეთში არსებულ გამოცე-მათა შორის“.

ნიკო ნიკოლაძე ყოველთვის დიდი დამფასებელი იყო აკაკის უბადლო ნიჭისა. იგი მუდამ ობ-იექტური რჩებოდა აკაკის შე-ფასებაში, როგორც პირად მიმო-წერაში, ასევე დაბეჭდილ კრი-ტიკულ სტატიებში. 1875 წლის ერთ პირად წერილში ნიკო აკა-კის სწერდა, — „შენ იმისთანა პოეტური ნიჭი და იმისთანა გო-ნება და ტვინი გაქვს, რომ არც-ერთი ჩვენი მწერალი, არცერთი ჩვენი ყმაწვილთაგანი შენ ვერ შეგედრება, გარწმუნებ პატიოსა-ნი სიტყვით, რომ ეს მოფერებით არ არის ნათქვამი“.

როგორც ცნობილია, 1889 წელს აკაკის ქეთაისში საადგილმამუ-ლო ბანკის დირექტორობა შესთა-ვაზეს, რაზედაც აკაკიმ უარი გა-ნაცხადა. მას დირექტორის ხელ-ფასი მაინც დაუნიშნეს, როგორც პენსია, მიუხედავად ამისა, აკა-კი ხშირად უჩიოდა „უფულენ-ციას“, რადგან პენსიას უმეტესად ვერ ღებულობდა. ამ საკითხს მი-უძღვნა ნიკო ნიკოლაძემ თავის „ნოვოე ობოზრენიეში“ ყურადსა-ღები წერილი, სადაც აკაკისადა-მი დახმარებას მოითხოვს.

1879 წლის 31 აგვისტოს ნიკო აკაკის სწერდა. „...ჩემ მოვალეობ-ად მიმაჩნია, რითაც შემეძლება თუ კი შევიძელ, შრომა და ტვირ-თი გაგიადვილო. ამიტომ, რომ შენი გაკეთება, ჩვენი საზოგადო ზურგის გამაგრებათ მიმაჩნია, და შენი წახდენა, ჩვენი საერთო ლა-ფის დასხმათ... თუ ძმა ხარ, ამ ჩემ წინადადებას ცუდ მხარეთი ნუ მიიღებ... გთხოვ თუ გჯერდ-ებ მომიხმარო, როცა და რაშიც

გინდოდეს. შენი ერთგული ნ. ნი-კოლაძე“.

ნიკო რომ ყოველთვის ძმურად, მეგობრულად, უანგაროდ ზრუნავ-და აკაკიზე, ეს ნიკოს იონა მეუ-ნარგიასადმი მიწერილი წერილი-დანაც ჩანს. ნიკოს უნდოდა, რომ აკაკის მუშაობა დაეწყოს სადმე, რათა მისი მატერიალური მდგო-მარეობა გაუმჯობესებულიყო. როგორც ცნობილია, აკაკის არ-სად არ უმსახურნია არასდროს. ამ მხრივ ნიკოს მონდომებამაც ვერ გამოიღო ნაყოფი.

სამსახურის საკითხში დიდი სხვა-დასხვაობა იყო ილიას და ნიკოს ლობით მას მაშინვე „კვაკენბურგის მეფე“ შეარქვა, ხოლო მოგვიანებ-ით წერდა: თუმცა თითით საჩ-ვენებელი ქალაქმთავარია, მაგ-რამ მაინც აფსუს, რომ მისთანა კაცი წვრილმან საქმეებს გამოს-დგომია და რაც შეუძლია, ის კი დაუმარხავსო“.

1886 წლიდან, როდესაც ნიკო ნიკოლაძე დიდ ჯიხაიშში დასახლ-და, აკაკი ხშირი სტუმარი იყო მისი. პროფესორ რუსუდან ნიკო-ლაძის გადმოცემით, ნიკო ყოველ-თვის დიდი სიყვარულით და პა-ტივისცემით ხვდებოდა სასურველ სტუმარს. აკაკის სტუმრობა დღე-და აკაკის შეხედულებებს შორის.

აკაკი მუდამ მაღალ შეფასებას აძლევდა ნიკოს პუბლიცისტურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას იმ. დიდ პირად სიყვარულთან ერთად, რომელიც ჰქონდა მის მი-მართ. ამიტომაც სწერდა იგი ერთ ბარათში ნიკოს; „სანამ მე ჩვენი ქვეყანა მიყვარს, ე. ი. სანამ პირ-ში სული მიდგას, ჩემს გულში შენგაგარ კაცებს წმინდა ადგილი ექნება...“ იგი ყოველთვის წინა-აღმდეგი იყო იმისა, რომ ნიკოს დიდი ლიტერატურული და წმინდა თეორიული შესაძლებლობანი პრაქტიკულ საქმიანობაში დახურ-დავებულიყო. „ვინ შენ და ვინ წვრილმანი რამეები... შენ შენს მოვალეობას ვეღარ ასრულებ. ეჰ, რამდენით დანაშაული ხარ ჩვენი ქვეყნის წინაშე!.. შენი აკაკი“.

ვერა და ვერ ურიგდებოდა აკა-კი ნიკოს მიერ საზოგადოებრივ-ი, პრაქტიკული საქმეებით და-ტაცებას 80-იანი წლებიდან. კერ-ძოდ, როცა ნიკო ნიკოლაძემ ფო-თის ქალაქის თავობა იკისრა და აკაკიმ მისთვის ჩვეული ენამახვი-ლი სიტყვით, ამ ამბავზე „ოფიციალ-ურ ბანკეტზე“ ასეთი ლექსი მიუძღვნა:

„ეს ბანკეტი ეს ბანკეტი
ეს ბანკეტი ეს ბანკეტი
ეს ბანკეტი ეს ბანკეტი

საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი

ჰარმონია და დისჰარმონია

ოჯახი ქორწინებით იწყება და იგი მაშინაა მყარი და ბედნიერი, როდესაც სიყვარულზეა დაფუძნებული. ნამდვილი სიყვარული „ზანნერი“ და მარადიულია. ნამდვილი სიყვარულის გრძნობა ზნეობრივად ამაღლებს ადამიანს, ალამაზებს და შინაარსიანს ხდის მის ცხოვრებას. აკი რუსთაველიც გრძანებდა: „სიყვარული აღგვამაღლებსო“.

ასეთ სიყვარულს ძირითადად საფუძვლად უდევს საერთო შეხედულებები, საერთო გრძნობები და მიზნები, რაც მეუღლეთა ჰარმონიული თანაცხოვრების აუცილებელი პირობაა. დღეს ახალგაზრდა წყვილთა უდიდესი უმრავლესობის აზრით მათი ოჯახი სიყვარულის საფუძველზე შეიქმნა — ასე მეუთითებენ ქორწინების სასახლეში გამოკითხული ახალდაქორწინებულნი. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ შემდეგში ქორწინებით უკმაყოფილოთა მორის უმრავლესობა კვლავ ისინი არიან, ვინც ერთმანეთს სიყვარულით დაუკავშირა ბედი.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირში განქორწინება მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამჟამად ყოველწლიურად დაახლოებით 2,7 მილიონი ქორწინება და 950 ათასი განქორწინება ხდება, ანუ ყოველი მესამე ქორწინება განქორწინებით მთავრდება. განქორწინების შედეგად ყოველწლიურად 18 წლამდე ასაკის 700 ათასი ბავშვი ერთ-ერთი მშობლის (უმეტესად დედის) ამარა რჩება.

საქართველოში 1988 წელს 7 082 ცოლ-ქმარი განქორწინდა, რათა უფრო ზუსტი წარმოდგენა გვქონოდეთ შექმნილ მდგომარეობაზე, გავიხსენოთ რა ვითარება იყო ამ მხრივ თითქმის ოთხი ათეული წლის წინათ. 1950 წელს ჩვენს რესპუბლიკაში 427 განქორწინება მოხდა, ამათგან ქალაქად — 420, ხოლო სოფლად — მხოლოდ შვიდი, ესე იგი, 40 ჯ ის მანძილზე განქორწინება 16-ჯერ გაიზარდა. ამასთან, თუ 1950 წელს ყოველ 73 ქორწინებაზე ერთი განქორწინება მოდიოდა, ამჟამად უკვე თითქმის ყოველ ხუთ ქორწინებაზე მოდის ერთი განქორწინება. 1988 წელს განქორწინების შედეგად საქართველოში ერთ-ერთი მშობლის ამარა დარჩა 4 307 ბავშვი. მეტად საგულისხმოა ისიც, რომ თუ ამავე წელს საბჭოთა კავშირში განქორწინებულ მეუღლეთა 40 პროცენტს არ ყავდა არცერთი ბავშვი, ჩვენს რესპუბლიკაში ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია და 61 პროცენტს უდრის. სტატისტიკა უფრო ნათელ გახდება თუ აღვნიშნავთ, რომ უშვილო და მცირეშვილიანი ოჯახები გაცილებით ხშირად იშლება, ვიდრე მრავალშვილიანები. მაგალითად, ერთ-ერთი გამოკვლევით ერთშვილიანი ოჯახები 2,4-ჯერ უფრო მეტად ინგრევა, ვიდრე ორშვილიანები და 9,4-ჯერ მეტად, ვიდრე სამ და მეტშვილიანი ოჯახები.

განქორწინების მიზეზების ზუსტი რაოდენობრივი და თვისობრივი დახასიათება შეუძლებელია. უპირველეს ყოვლისა, სასამართლო საქმეებს შესწავლა გაყრის ნამდვილი მოტივების გასარკვევად ბევრს არაფერს იძლევა. სასამართლოში ადამიანები ერიდებიან ყველაფრის საამარაოზე გამოტანას და ხშირად მსჯელობის საგნად ხდიან კონფლიქტური სიტუაციის მხოლოდ ისეთ ზოგად მხარეებს, მაგალითად, ხასიათის შეუთავსებლობას, რაც საკმრისია განქორწინებისათვის. მეორეც, განქორწინების მიზეზების ზუსტი სპეკტრის მიღება არც ამ მიზნით სპეციალურად ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევებით შეიძლება. ადამიანს მეუღლესთან განშორების დიდი ხნის გავლის შემდეგაც არ ეპატრონება მის წარსულ ცხოვრებაში ვინმეს ჩახედვა (თუნდაც ეს ანონიმურად ხდებოდეს), ყველაფრის გამომზეურება და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ინტიმური ცხოვრების სფეროს, ან ღალატს შეეხება. საერთოდ ცოლ-ქმრული ცხოვრება და, მით უმეტეს, ინტიმური ისეთი ფაქიზი სფეროა, რომ გაყრის შემთხვევაშიც კი საჭიროთოროა ყველაფრის თქმა და ყველაფერზე ლაპარაკი, რაც ზოგჯერ პირადი თავმოყვარეობის შელახვასაც გულისხმობს. აქ, ალბათ, ღირს ძველი ბერძენი ისტორიკოსის პლუტარქეს მონაცემებიც გავიხსენოთ ერთი რომელის შესახებ, რომელიც საყვედურებით აკვესებ ყოველგვარი ღირსების შემკულ, ლამაზ და მდიდარ მეუღლესთან გაყრის გამო. რომაელმა ამის საპასუხოდ ფეხი, რომელზეც ლამაზი და მოხდენილი ფეხსაცმელი ეცვა, გამოსწია და გარეშემო მყოფთ მიმართა: ეს ფეხსაცმელიც ახალი და კარგია, მაგრამ არავინ არ იცის, იგი სად მიჭერსო.

მიუხედავად აღნიშნულისა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია განქორწინების მიზეზების მეტ-ნაკლები ზომით შესწავლა და, მაშასადამე, საათანადო ღონისძიებების დასახვაც შესაძლებლობის ფარგლებში კონფლიქტური ოჯახების შესანარჩუნებლად.

სოციოლოგიური გამოკვლევები წარმოდგენას გვაძლევენ ყველაზე უფრო გავრცელებულ საერთო მიზეზებზე, რომლებიც იწვევენ განქორწინებას. კერძოდ, ასეთ მიზეზთა შორის განქორწინებულ მეუღლეთა აზრით მთავარია საერთო შეხედულებებისა და ინტერესების უქონლობა, ხასიათების შეუთავსებლობა, ცოლ-ქმრული ერთგულების დარღვევა — ღალატი, სიყვარულის გრძნობის უქონლობა, ცოლ-ქმრული მოვალეობებისადმი ზერელე დამოკიდებულება, ალკოჰოლიანი სასმელების ზომაზე მეტად მოხმარება, მშობლებთან ცუდი ურთიერთობა, ცუდი საბინაო პირობები, სექსობრივი დაუკმაყოფილებლობა და სხვა. მას შემდეგ რაც ადამიანებმა დაიწყეს ოჯახების შექმნა, ეს საკითხები მეტ-ნაკლები ზომით ყოველთვის აწუხებდა საზოგადოებას.

პირველ ცრობებს განქორწინების შესახებ ჩვენ ვხვდებით ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონთა კრებულებში ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მამინდელი ზნეობრივი ნორმები უარყოფად ხლუდავდა ქალის უფლებრივ მდგომარეობას. მამაკაცს შეეძლო ცოლისათვის სისტემატურად ეღალატა, მაგრამ იგი ამისათვის პასუხს არ აგებდა. ძველბაბილონური სამართლის მიხედვით „უკეთუ ქალი არ არის უბრალო... არცხვენს თავის ქმარს, ეს ქალი უნდა გადაადონ წყალში“. ძველ საბერძნეთში ცოლის ღალატი საკმარისი საბაბი იყო განქორწინებისათვის. ქმარს შეეძლო მოეკლა ცოლის საყვარელი და ამისათვის იგი პასუხს არ აგებდა. ამავე დროს ძველი წელთაღრიცხვის მე-9 საუკუნეში მცხოვრები კანონმდებელი ლიკურგი დასცინოდა მათ, რომელთაც მომავალი თაობის წარმოქმნა ერთო საქმედ მიეჩნიდათ და ცოლთან სხვის თანამონაწილეობას ამ საქმეში ვერ იტანდნენ.

ოჯახის მეტად მყარი და ყოველმხრივ ჩამოყალიბებული ინსტიტუტი გვქონდა ძველ საქართველოშიც. ამას ნათლად მოწმობს ჩვენამდე მოღწეული პირველი ლიტერატურული ძეგლი „შუშანიკის წამება“. ნაწარმოებში წარმოდგენილია საოჯახო ცხოვრების ეოცხალი სურათები. მართალია, ქალთა საზოგადოებრივი მდგომარეობა ძალიან შეზღუდულია, მაგრამ ეს საერთოდ დამახასიათებელია მაშინდელი სამყაროსათვის. ქმარი ოჯახის უფროსია და ქალი უფლებრივად მას ემორჩილება. ქალს არ შეუძლია ოჯახიდან ქმრის დაუწყებლივ წავიდეს სადმე და ამით ქმრის „ხატი დაამხოს“. სხვათაშორის ასე იყო ძველ რომშიც: ქმრები თავიანთ ცოლებს სახლიდან მათი ნებართვის გარეშე გასვლასაც კი უკრძალავდნენ. ცნობილია, რომ რომის ერთ-ერთი კონსულ-ცოლს იმის გამო გაშორდა, რომ იგი მის დაუკითხავად წავიდა თეატრში. ამრიგად, მამაკაცი ოჯახში დიდი უფლებებით სარგებლობს. თვით შუა საუკუნეებშიც კი სქესობრივი კავშირი კაცთაგან ქალის დამდაბლებადაა მიჩნეული (სულხან-საბა ორბელიანი).

ქორწინებისა და საერთოდ ოჯახური ყოფიერების ტრადიციულ გაგებაში იცვლება მორალური პრინციპები. ოჯახის სომტკიცის უზრუნველსაყოფად ახლა საკმაოდ იწირება ქორწინებამდე სქესობრივი ურთიერთობის საჭიროებაზე, რათა შემდეგში სქესობრივი შეუთავსებლობა ოჯახის დანგრევის მიზეზი არ გახდეს. მაგრამ ასეთი ბიებიდან ამორალურ ქცევამდე ერთი ნაბიჯია და მისი გადადგმა უკვე არც ისე ძნელი ხდება.

ჩვენი წინაპრები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ოჯახის სიწმინდეს და ასეთ ოჯახს ერისა და ქვეყნის საფუძვლად მიიჩნევდნენ. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ ქალის როგორც დედის, მეოჯახის, სიწმინდისა და ნამუსის, როგორც სიცოცხლის მუდმივი და განახლებადი წყაროს კულტი აგრერიგად გამოიკვეთა მთელ ქართულ მწერლობაში. ძველ ქართულ საერო აპოფთეგმურ ლიტერატურაში შემთხვევით როდია ნათქვამი: „ქალისა მზითევი არს სიწმინდე და ნამუსი“. რა თქმა უნდა, ოჯახურ სიწმინდესა და ერთგულებას მეუღლეები ყოველთვის უნდა უფრთხილდებოდნენ და იცავდნენ, მაგრამ ამ მხრივ ქალს მაინც მეტი მოვალეობა ეკისრება.

თუ პოლონიუსთან ერთად გავიხსენებთ: „თავისუფლება აცეს მეტი აქვს ვიდრემდე ქალსა“. საბედნიეროდ, ქართველ ქალს თავის სილამაზესა და კდემამშილებასთან ერთად ოჯახის მძიმე, მაგრამ საამაყო ტვირთიც ღირსეულად უტარებია ქვეყნისა და ერის წინაშე.



ნება. 1988 წელს განქორწინების შედეგად საქართველოში ერთ-ერთი მშობლის ამარა დარჩა 4 307 ბავშვი. მეტად საგულისხმოა ისიც, რომ თუ ამავე წელს საბჭოთა კავშირში განქორწინებულ მეუღლეთა 40 პროცენტს არ ყავდა არცერთი ბავშვი, ჩვენს რესპუბლიკაში ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია და 61 პროცენტს უდრის. სტატისტიკა უფრო ნათელ გახდება თუ აღვნიშნავთ, რომ უშვილო და მცირეშვილიანი ოჯახები გაცილებით ხშირად იშლება, ვიდრე მრავალშვილიანები. მაგალითად, ერთ-ერთი გამოკვლევით ერთშვილიანი ოჯახები 2,4-ჯერ უფრო მეტად ინგრევა, ვიდრე ორშვილიანები და 9,4-ჯერ მეტად, ვიდრე სამ და მეტშვილიანი ოჯახები.

განქორწინების მიზეზების ზუსტი რაოდენობრივი და თვისობრივი დახასიათება შეუძლებელია. უპირველეს ყოვლისა, სასამართლო საქმეებს შესწავლა გაყრის ნამდვილი მოტივების გასარკვევად ბევრს არაფერს იძლევა. სასამართლოში ადამიანები ერიდებიან ყველაფრის საამარაოზე გამოტანას და ხშირად მსჯელობის საგნად ხდიან კონფლიქტური სიტუაციის მხოლოდ ისეთ ზოგად მხარეებს, მაგალითად, ხასიათის შეუთავსებლობას, რაც საკმრისია განქორწინებისათვის. მეორეც, განქორწინების მიზეზების ზუსტი სპეკტრის მიღება არც ამ მიზნით სპეციალურად ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევებით შეიძლება. ადამიანს მეუღლესთან განშორების დიდი ხნის გავლის შემდეგაც არ ეპატრონება მის წარსულ ცხოვრებაში ვინმეს ჩახედვა (თუნდაც ეს ანონიმურად ხდებოდეს), ყველაფრის გამომზეურება და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ინტიმური ცხოვრების სფეროს, ან ღალატს შეეხება. საერთოდ ცოლ-ქმრული ცხოვრება და, მით უმეტეს, ინტიმური ისეთი ფაქიზი სფეროა, რომ გაყრის შემთხვევაშიც კი საჭიროთოროა ყველაფრის თქმა და ყველაფერზე ლაპარაკი, რაც ზოგჯერ პირადი თავმოყვარეობის შელახვასაც გულისხმობს. აქ, ალბათ, ღირს ძველი ბერძენი ისტორიკოსის პლუტარქეს მონაცემებიც გავიხსენოთ ერთი რომელის შესახებ, რომელიც საყვედურებით აკვესებ ყოველგვარი ღირსების შემკულ, ლამაზ და მდიდარ მეუღლესთან გაყრის გამო. რომაელმა ამის საპასუხოდ ფეხი, რომელზეც ლამაზი და მოხდენილი ფეხსაცმელი ეცვა, გამოსწია და გარეშემო მყოფთ მიმართა: ეს ფეხსაცმელიც ახალი და კარგია, მაგრამ არავინ არ იცის, იგი სად მიჭერსო.

მიუხედავად აღნიშნულისა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია განქორწინების მიზეზების მეტ-ნაკლები ზომით შესწავლა და, მაშასადამე, საათანადო ღონისძიებების დასახვაც შესაძლებლობის ფარგლებში კონფლიქტური ოჯახების შესანარჩუნებლად.

სოციოლოგიური გამოკვლევები წარმოდგენას გვაძლევენ ყველაზე უფრო გავრცელებულ საერთო მიზეზებზე, რომლებიც იწვევენ განქორწინებას. კერძოდ, ასეთ მიზეზთა შორის განქორწინებულ მეუღლეთა აზრით მთავარია საერთო შეხედულებებისა და ინტერესების უქონლობა, ხასიათების შეუთავსებლობა, ცოლ-ქმრული ერთგულების დარღვევა — ღალატი, სიყვარულის გრძნობის უქონლობა, ცოლ-ქმრული მოვალეობებისადმი ზერელე დამოკიდებულება, ალკოჰოლიანი სასმელების ზომაზე მეტად მოხმარება, მშობლებთან ცუდი ურთიერთობა, ცუდი საბინაო პირობები, სქესობრივი დაუკმაყოფილებლობა და სხვა. მას შემდეგ რაც ადამიანებმა დაიწყეს ოჯახების შექმნა, ეს საკითხები მეტ-ნაკლები ზომით ყოველთვის აწუხებდა საზოგადოებას.

პირველ ცრობებს განქორწინების შესახებ ჩვენ ვხვდებით ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონთა კრებულებში ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მამინდელი ზნეობრივი ნორმები უარყოფად ხლუდავდა ქალის უფლებრივ მდგომარეობას. მამაკაცს შეეძლო ცოლისათვის სისტემატურად ეღალატა, მაგრამ იგი ამისათვის პასუხს არ აგებდა. ძველბაბილონური სამართლის მიხედვით „უკეთუ ქალი არ არის უბრალო... არცხვენს თავის ქმარს, ეს ქალი უნდა გადაადონ წყალში“. ძველ საბერძნეთში ცოლის ღალატი საკმარისი საბაბი იყო განქორწინებისათვის. ქმარს შეეძლო მოეკლა ცოლის საყვარელი და ამისათვის იგი პასუხს არ აგებდა. ამავე დროს ძველი წელთაღრიცხვის მე-9 საუკუნეში მცხოვრები კანონმდებელი ლიკურგი დასცინოდა მათ, რომელთაც მომავალი თაობის წარმოქმნა ერთო საქმედ მიეჩნიდათ და ცოლთან სხვის თანამონაწილეობას ამ საქმეში ვერ იტანდნენ.

ოჯახის მეტად მყარი და ყოველმხრივ ჩამოყალიბებული ინსტიტუტი გვქონდა ძველ საქართველოშიც. ამას ნათლად მოწმობს ჩვენამდე მოღწეული პირველი ლიტერატურული ძეგლი „შუშანიკის



წამება“. ნაწარმოებში წარმოდგენილია საოჯახო ცხოვრების ეოცხალი სურათები. მართალია, ქალთა საზოგადოებრივი მდგომარეობა ძალიან შეზღუდულია, მაგრამ ეს საერთოდ დამახასიათებელია მაშინდელი სამყაროსათვის. ქმარი ოჯახის უფროსია და ქალი უფლებრივად მას ემორჩილება. ქალს არ შეუძლია ოჯახიდან ქმრის დაუწყებლივ წავიდეს სადმე და ამით ქმრის „ხატი დაამხოს“. სხვათაშორის ასე იყო ძველ რომშიც: ქმრები თავიანთ ცოლებს სახლიდან მათი ნებართვის გარეშე გასვლასაც კი უკრძალავდნენ. ცნობილია, რომ რომის ერთ-ერთი კონსულ-ცოლს იმის გამო გაშორდა, რომ იგი მის დაუკითხავად წავიდა თეატრში. ამრიგად, მამაკაცი ოჯახში დიდი უფლებებით სარგებლობს. თვით შუა საუკუნეებშიც კი სქესობრივი კავშირი კაცთაგან ქალის დამდაბლებადაა მიჩნეული (სულხან-საბა ორბელიანი).

ქორწინებისა და საერთოდ ოჯახური ყოფიერების ტრადიციულ გაგებაში იცვლება მორალური პრინციპები. ოჯახის სომტკიცის უზრუნველსაყოფად ახლა საკმაოდ იწირება ქორწინებამდე სქესობრივი ურთიერთობის საჭიროებაზე, რათა შემდეგში სქესობრივი შეუთავსებლობა ოჯახის დანგრევის მიზეზი არ გახდეს. მაგრამ ასეთი ბიებიდან ამორალურ ქცევამდე ერთი ნაბიჯია და მისი გადადგმა უკვე არც ისე ძნელი ხდება.

ჩვენი წინაპრები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ოჯახის სიწმინდეს და ასეთ ოჯახს ერისა და ქვეყნის საფუძვლად მიიჩნევდნენ. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ ქალის როგორც დედის, მეოჯახის, სიწმინდისა და ნამუსის, როგორც სიცოცხლის მუდმივი და განახლებადი წყაროს კულტი აგრერიგად გამოიკვეთა მთელ ქართულ მწერლობაში. ძველ ქართულ საერო აპოფთეგმურ ლიტერატურაში შემთხვევით როდია ნათქვამი: „ქალისა მზითევი არს სიწმინდე და ნამუსი“. რა თქმა უნდა, ოჯახურ სიწმინდესა და ერთგულებას მეუღლეები ყოველთვის უნდა უფრთხილდებოდნენ და. იცავდნენ, მაგრამ ამ მხრივ ქალს მაინც მეტი მოვალეობა ეკისრება.

თუ პოლონიუსთან ერთად გავიხსენებთ: „თავისუფლება აცეს მეტი აქვს ვიდრემდე ქალსა“. საბედნიეროდ, ქართველ ქალს თავის სილამაზესა და კდემამშილებასთან ერთად ოჯახის მძიმე, მაგრამ საამაყო ტვირთიც ღირსეულად უტარებია ქვეყნისა და ერის წინაშე.

ფიფის გვირაბი 100 წლისაა

1886 წელს დაგეგმილა წიფის გვირაბის მშენებლობა, რომლის უფროსად მთელ რუსეთსა და ევროპაში სახელმოხვეჭილი ინჟინერი ფ. დ. რიძეევსკი დაუნიშნავთ და მშენებლობაც, ნაცვლად ნაგულისხმევი ექვსი წლისა, ოთხ წელიწადში — 1890 წლის სექტემბერში დამთავრებულა.

გვირაბის საზეიმო გახსნა და კურთხევა 1890 წლის 16 სექტემბერს მომხდარა. ზღვა ხალხი ესწრებოდა ამ სამი ვერსი და 376-საჟენიანი გვირაბის გახსნასო, იგონებს მემატიანე. გვირაბი თვით გაბრიელ ეპისკოპოსს უკურთხებია.

ვისაც ამ მომართულებით უმგზავრია, შენიშნავდა ობელისკს, რომელიც ზედ გვირაბის შესასვლელთანაა აღმართული. იგი ამ გვირაბის მშენებელთა ღვაწლის უკვდავსაყოფად დაიდგა და, გვირაბთან ერთად, უკვე 100 წლის „იუბილარია“.

ჯ. შარიძაძე.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მიეკუთვნა თენგიზ ჩანტლაძის სახელი

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს წინადადებით თბილისის სატირისა და იუმორის სახელმწიფო თეატრს მიეკუთვნა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, ამ თეატრის დამაარსებლისა და სამხატვრო ხელმძღვანელის თენგიზ ჩანტლაძის სახელი.

თეატრის ახალი სახელწოდება

რესპუბლიკის მთავრობამ დაკმაყოფილა კულტურის სამინისტროს თხოვნა და თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის რუსულ მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრს შეეცვალა სახელი. ამიერიდან მას ეწოდება თბილისის რუსული სახელმწიფო საბავშვო-საყმაწვილო თეატრი.

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი

რეპორტიორი თავისუფალი საქართველოსათვის
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ვიდრე უსულგულო ადამიანები თვითნებობენ

„ფრთხილად, ბავშვები!“ — ალბათ, ხშირად შეზვედრიხართ ავტომანქანას ასეთი წარწერით. მას ყველა გზაჯვარედინზე მწვანე შუქით ეგებება. ცხოვრებაში კი, ვაგლახ, ყოველთვის ასე არ არის. ასე არ არის და ამიტომაც ვერ იკავებდნენ ცრემლებს თბილისის ქართული გიმნაზიის მოსწავლეები: ბექა, არჩილი, დავითი, ნინო, კიდევ ნინო, ვახტანგი, თამარი, ილია და მათი მასწავლებელი მაია თბილისის საერთაშორისო აეროპორტში.

დიახ, ეს არ იყო განშორების ცრემლი. — ასეთი რამ მათ დაახლოებით თვე-ნახევრის წინათ განიცადეს, როცა ბერლინიდან მათ ოჯახებში სტუმრად ჩამოსულ მოსწავლეებს აცილებდნენ. ახლა კი...

8 სექტემბერს საპასუხო სტუმრობისათვის გამზადებული ბავშვები და მათი გერმანული ენის მასწავლებელი თვითმფრინავში არ შეუშვეს. მიზეზი? თურმე ნუ რტყვით: ვიღაც მესაზღვრეს ეჭვი შეეპარა მაია მასწავლებლის პასპორტის გაფორმების სისწორეში, სადაც რაკ ბავშვის მონაცემებიც იყო შეტანილი.

შაბათი დღეა. ვისთან მიხვალ, კაცი არ არის განსაკითხავი. ეს პირტიტველა ლეიტენანტი „მეთაურობს პარადს“, და თავი მშობლიურ ქალაქში სტუმარი გგონია.

11 საათია. თვითმფრინავში ჩასხდომა ჯერ არ დაწყებულა. ყოველივეს დაახლოებით 40-50 წუთი სჭირდება.

— იქნებ, საგარეო საქმეთა სამინისტროში მორიგე იყოს?! — ჩნდება იმედის ნაპერწკალი. — უნდა გავვარდეთ. — ამბობს ყირმელაშვილის მამა და მაია მასწავლებელთან ერთად მანქანით სამინისტროსაკენ მიეშურება.

გამოცხადდა ჩასხდომა. მგზავრები ზლაზვნით მიემართებიან ტრაპისაკენ, განგებ ჭიმავენ დროს, განსაკუთრებით კი მინის კედელს მიღმა დარჩენილთა თანატოლები ითრევენ ფეხს. მშობლები გარს შემოეხვევნენ საერთაშორისო გადაზიდვების უფროსს, სთხოვენ, ემუდარებიან 12 საათამდე, ვიდრე პასუხს მოიტანენ, გადადოს გაფრენა.

ჯერ კიდევ 12 საათი არ იყო, აეროპორტში მოიკრიბენ მაია მასწავლებელი, საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკი და დიმიტრი ყირმელაშვილი.

ამაოდ დაშვრნენ. თვითმფრინავი უკვე ჰაერში იყო. გულისტკივილი გაორკეცდა, როდესაც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, პასპორტში ყველაფერი რიგზეაო.

— თითქმის არ არის რეისი რომ არ აგვიანებდეს გაფრენას, — ამბობს საბაჟო განყოფილების უფროსი ვლადიმერ მიქელაძე. — ეს-ესაო, ეს-ისაო... პოლონელები, მაგალითად, ხომ ყოველთვის იგვიანებენ რამდენიმე საათით. საწყენია, რომ ბავშვებს ვერაფრით დავეხმარეთ. ეს მით უფრო გულსატკივნია, რომ ისინი ვიღაცის არაკომპეტენტურობას შეეწირნენ.

— დარწმუნებული რომ ვყოფილიყავი, დაბრუნდებიან-მეთქი, მევაჭრეს თვითმფრინავის გაფრენას, — თავს იმართლებს თბილისის ავროპორტის საერთაშორისო გადაზიდვების უფროსი ვილნერსესოვი.

აქ ჩვენგან დაეძენინ, რომ გულწრფელი არ არის ბატონი ვილ. მას მშობლები სთხოვდნენ, შეეწყალებინა გაფრენა, დაგვიანებისათვის სათანადო ხარჯის გადახდაც კ აღუთქვეს, მაგრამ ვინ იღო ყურად.

საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის უშუალო თანდგომით მოსკოვ-ბერლინის ბილეთები შეიძინეს მშობლებმა. ვილნერსესოვიც დაფაცურდა, მისი დახმარებით იმავე დღეს ბავშვები მაია მასწავლებელთან ერთად მოსკოვს გაფრინდნენ. გატანჯულმა ბავშვებმა ღამეც სკამებზე თეთრად გაათენეს და 9 სექტემბერს თანატოლებს შეუერთდნენ.

„ყველაფერი საუკეთესო — ბავშვებს“ — ამისთანა ბრტყელ-ბრტყელ ლოზუნგებს დაჩვეულმა, საქმე საქმეზე რომ მიდგა, ვერც კი შეამჩნიეს ისინი.

ცხადია, კომპეტენტური ორგანოების ჩარევის შემდეგ გაირკვევა მტყუან-მართალი. დაზარალებულებს აუნაზღაურდებათ თანხა, რომელიც მათ მოსკოვსა და ბერლინში გასამგზავრებლად გაუგზავნ. რობის გამო გადაახდევინეს, მაგრამ არ არსებობს ნერვიულობის, ცრემლების კომპენსაცია, თანაც თუ ეს ცრემლი ბავშვებისაა, და კვლავაც უნდა ველოდოთ მსგავს ინციდენტს, ვიდრე პასუხსაგებ თანამდებობებზე არაკომპეტენტური და უსულგულო ადამიანები იქნებიან.

კოტე ამაღლობელი.
(საქინფორმის კორესპონდენტი)

ცნობათა დღიური

ბელადის ფერხთით

რას არ მოსწრებია წითელი მოედანი...

ხან-თვითმფრინავი ჯდება მის მოკირწყლულ მიდამოებში, ხან ქვას ისვრის დემონსტრაციაზე მოსული გაავებული ბრბო. ახლა კიდევ... თვითმკვლელობა.

3 სექტემბერს ლენინის მავზოლეუმს მიეახლა უცნობი მამაკაცი და მოედანზე მოსეირნე ადამიანების თვალწინ დანა ჩაირტყა მკერდში, — ეს ამბავი გაზეთ „ტრუდის“ მეშვეობით მკითხველს აუწყა მოსკოვის შინაგან საქმეთა სამმართველოს პრესცენტრმა.

ბელადის ფერხთით დავარდნილი. თვითმკვლელი ხასწრაფოდ მიიყვანეს საავადმყოფოში. ბედად უცნობი მხოლოდ დაიჭრა და ამჟამად რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული. როგორც გაზეთი გვამცნობს, მასთან შესვლა აკრძალულია, თვით მილიციის თანამშრომელთათვისაც კი. გამომჯობინებისთანავე გამოირკვევა თვითმკვლელობის მოტივები, რომლის ერთ-ერთი „ვარიანტი“ მოსკოვის შინაგან საქმეთა სამმართველოს პრესცენტრმა უკვე დაუშვა: შესაძლოა „უცნობი ფსიქიურად იყოსო დაავადებული. თუმცა ეს მხოლოდ მათი სურვილია, ლენინის გვერდით სიკვდილის მსურველის მთავარი მიზეზი კი, ალბათ, სხვა რამ უნდა იყოს.

იტალიელმა არ იცის... იტალია

დიახ, სწორედ ასეა: გამოკითხული ასი იტალიელიდან ყოველმა მეშვიდემ რუკაზე ვერ მიაგნო მის სამშობლოს — იტალიას. მხოლოდ 26 კაცმა „ამოიცნო“ სპარსეთის ყურე, არადა, დღეს ეს რეგიონი ძალზე პოპულარულია მთელს მსოფლიოში.

შედარებით მცოდნენი აღმოჩნდნენ ავენინის მცხოვრებნი. 100-დან სამოცდაცხრამ სხარულით აღმოაჩინა მეზობელი ქვეყანა — საფრანგეთი.

სიგარეტი და სმენა

კიდევ ერთი მიგნება: შვეიცარიელი მედიკოსების მეცადინეობით აღმოჩნდა, რომ მწეველს არ ამწეველთან შედარებით დაქვეითებული აქვს სმენა. ამის დადგენა მოხერხდა სპეციალური ელექტრონული ხელსაწყოს მეშვეობით, რომლითაც შემოწმდნენ ლ ზანის სიმფონიური ორკესტრ მუსიკოსები.

ასე რომ, თამბაქო და მუსიკა ა ვეღარ იმეგობრებენო, დასკვნ მედიკოსებმა.

ჩვენი ბაზეთის დღეანდელი ნომერი ეკუთვნის ბერლიანია.

რედაქტორი
მინდია უბრეხელიძე

ტელევიზია

თბილისი

კვირა

16 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 10.05 — ათლეტიზმი. 10.25 — კინოაფიშა. 10.55 — მულტიპლიკაციური ფილმი. 11.10 — საკვირაო გამოფენა. 11.15 — ამერიკის ჩემპიონატი პროფესიონალ კალათბურთელთა შორის. ფინალი. „დეტროიტი“ — „პორტლენდი“. 12.15 — საკვირაო გამოფენა. 12.20 — მოსწავლეთა არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. ქართული მხატვრული ფილმი „ჯადოსნური ღამე“ და ქართული მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 14.05 — „ეკოსკოპი“. 14.50 — საკვირაო გამოფენა. 14.55 — „ვესტნიკი“. 15.45 — „მამული, ენა, სარწმუნოება“. 16.15 — მოსწავლეთათვის. „გილოცავთ“... 16.45 — **მულტიპლიკაციური ფილმი „ასეთი საქმეები“. 17.00 — საქართველოს** ტელევიზიისა **და** რადიოს სიმფონიური ორკესტრის კონცერტი. 17.35 — საქართველოს საფეხბურთო მიმოხილვა. 18.05 — „ზრუნვა“. 19.00 — მოამბე. 20.00 — ძილისპირული. 20.15 — ლიტერატურული **თეატრი.** „ქუცი, ქუცი, მურია“ (აკაკი წერეთლის სატირა და იუმორი). 21.00 — „ეკრემია“. 21.40 — მუსიკალური ფოსტა. 22.45 — „ვიდეო, ვიდეო...“.

ორშაბათი

17 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 16.15 — საინფორმაციო გამოშვება. 16.25 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მეშვიდე მოგზაურობა“. 17.15 — „გმადლობთ, ექიმო!“ (გამეორება). 18.00 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.30 — მოსწავლეთათვის. „მაქვს მარგალიტი ულევი“. 18.50 — განცხადებები. 18.55 — მკლავეჭიდი ძალს იკრებს. 19.25 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 20.00 — მოამბე. 20.35 — ხუთი სიმღერა. მღერის ნანა ბელქანია. 21.00 — „ეკრემია“. 21.40 — პირველი მრავალპარტიული არჩევნების წინ. 22.40 — „ჩემი ვეფხისტყაოსანი“. გადაცემა მესამე. 24.00 — ქრონიკა.

მეორე პროგრამა. 16.05 — სატელევიზიო დადგმა „ქარშალული მელოდია“. 18.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმ „ბილიკი ბელოვოდიეზე“. 18.2 — მხატვრული ფილმი „მა სერგი“ (ქართულ ენაზე). 20.0 — მოამბე. 20.35 — მხატვრულ ფილმი „ბოლოსიტყვაობა“.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 საქართველოს კპ ცკ-ის გაზეთ-ჟურნალების ბაზის ნომერი ოთხი. ფასი 10 კაპიკი. ტირაჟი 100 000 ეგზემპლარი. ბანაკი, კოსტავას ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საბაზეთო კორპუსი, სოფლაულის ქ. 10. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14